ეროვნული ბიბლიოთეკა


# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 8 (13)

15 III 1991


ეს ფოტოები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს დავით გარეჯის მონასტრის — ბერთუბანის დღევანდელ სავალალო მდგომარეობას. მონასტერი დანგრეულია, კედელი მთლიანად ჩამოქცეული, მაგრამ ამის მიზეზი მიწისძვრა არ ყოფილა, არამედ გაცილებით უფრო ბრმა, დაუნდობელი, ბოროტი ძალა — წითელი არმია. ბერთუბანს წლების მანძილზე საბჭოთა არტილერისტები სამიზნედ იყენებდნენ.





ნატო გენზიურის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრა მთავრობის სახლში

**საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 9 მარტს მთავრობის სახლში შედგა ინტელიგენციის ერთი ჯგუფის შეხვედრა საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია და მთავრობის თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა.**

**ყველა ჩვენგანის მოქალაქეობრივი უფლებაა მივმართოთ ჩვენს მიერვე არჩეულ ხელისუფლებას ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით. ამ შეხვედრის უშუალო მიზეზი იყო ბატონი აკაკი ბაქრაძის მ ი მ ა რ თ ვ ა, რომელიც ტელევიზიით გადაიცა ამ რამდენიმე ხნის წინ და რომელსაც ხელს აწერს მრავალი პოპულარული ადამიანი.**

**მიმართვაში წამოყენებულია რამდენიმე მოთხოვნა: 1. შედგეს საბჭო ქართველი ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთაგან, რომელნიც არ ეკუთვნიან არც ერთ პარტიას და არ ოცნებობენ რაიმე პოლიტიკურ კარიერაზე. ეს საბჭო იქნება შუამავალი უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს (მაშველთა კორპუსს, მხედრიონს) შორის. ამ საბჭომ უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ შეთანხმება არ დაირღვეს არც ერთი მხრიდან, რომ ყველა სადაო-საკამათო საკითხი მოგვარდეს პრესაში აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლით და არა შეიარაღებული დაპირისპირებით.**

**2. ყველა დღეს არსებული შეიარაღებული დაჯგუფება, დამოუკიდებელი სახით (მაგალითად, დივიზია „მხედრიონი", პოლკი „შევარდენი" და ა. შ.) შევიდეს ერთიან ქართულ შეიარაღებულ ძალებში. შეიარაღებულ დაჯგუფებათა მეთაურები, თანაბარი უფლებებით იქნებიან საერთო სამხედრო საბჭოს წევრები. სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელად კი დაინიშნოს ან ავღანეთში ნამყოფი ქართველი ოფიცერი, ან გადამდგარი ქართველი გენერალი, რომელიც არ ეკუთვნის არც ერთ პარტიას. არა აქვს პოლიტიკური ამბიციები.**

**ეს შეიარაღებული ძალა (მნიშვნელობა არა აქვს, რას დავარქმევთ მას, გვარდიას თუ რაიმე სხვა სახელს) დამცველია მთელი ქართველი ხალხის, მთელი საქართველოს ინტერესებისა და არა რომელიმე პარტიისა ან პოლიტიკური დაჯგუფებისა.**

**3. აუცილებლად მიგვაჩნია შეიქმნას ნეიტრალურ იურისტთა კომისია, რომელიც შეისწავლის დღეს არსებული ყველა არაოფიციალური შეიარაღებული დაჯგუფების, ცხადია, მხედრიონისა და მის დაპატიმრებულ წევრთა საქმიანობას. თუ ეს კომისია დაადგენს მხედრიონის დაპატიმრებულ წევრთა კონკრეტულ, დღევანდელ დანაშაულს, მაშინ მიეცეს ისინი სამართალში, მანამდე კი დატუსაღებულნი, მათ შორის მხედრიონის მეთაური პროფ. ჯ. იოსელიანი, გათავისუფლებული იქნენ თავდებით.**

**4. სამწუხაროდ, გაზეთების სიმრავლის მიუხედავად, ქართულ პრესაში შეიქმნა ინფორმაციული ვაკუუმი. ინფორმაცია ცალმხრივია. ამ ცალმხრივობას ბოლო უნდა მოეღოს, რომ მთელ საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება ობიექტური ინფორმაციის საფუძველზე თავად გააკეთოს დასკვნა. ყოველ დროში და ყველა ქვეყანაში ცალმხრივი ინფორმაცია არის დანაშაულის ხელისშემწყობი პირობა.**

**აუცილებელია, რომ რადიოთი, ტელევიზიით, ჟურნალ-გაზეთებით, ერთი სიტყვით, პრესის ყველა საშუალებით, თავისუფლად სარგებლობდეს ყოველი მოქალაქე. რა თქმა უნდა, ინფორმაცია საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ობიექტურად და ეთიკის ყველა ნორმის დაცვით.**

**ხელისუფლების** მიერ თავიდანვე იყო ხაზგასმული, რომ ეს არის დიალოგი მთავრობასა და საზოგადოების წარმომადგენელთა შორის და არა საქართველოს ოფიციალური უზენაესი ორგანოს შეხვედრა კონგრესის წარმომადგენლებთან, რომელსაც უზენაესი საბჭო არ სცნობს და არაკანონიერად მიიჩნევს.

ამრიგად, მიმართვაში შემოთავაზებულ პირველ მოთხოვნას იმთავითვე გაეცა პასუხი. საკითხი ამით ამოიწურა და შემდგომ ამ თემაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა თუ კამათი არ წამოწყებულა.

შეხვედრა 12 საათზე იყო დანიშნული, მაგრამ დაგვიანებით დაიწყო იმის გამო, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ უარი განაცხადა კონგრესის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიღებაზე. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ეს იმით დაასაბუთა, რომ დემოკრატია მასაც აძლევს ადამიანურ უფლებას, თავი აარიდოს შეხვედრას პიროვნებასთან, რომლის მხრიდან არ არის დაზღვეული ხულიგნური ან პროვოკაციული გამოსვლისაგან.

სანამ მისაღებში ამ ფაქტთან დაკავშირებული პრობლემები იხილებოდა, შეხვედრა დაიწყო. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დარბაზში მსხდომთ სიტყვით მიმართა: — თქვენ იცით, რომ აფხაზეთში და სამაჩაბლოში შეიქმნა ინტერფრონტი. სამაჩაბლოში ჩამოყალიბდა ე. წ. „დროებითი საგანგებო კომიტეტი". ზუსტად იგივე ორგანიზაცია, რაც ვილნიუსში ინტერვენციის წინ. მოგეხსენებათ, ლიტვაში სწორედ ამ ორგანიზაციამ მოიწვია ჯარი. ასევე აფხაზეთში შეიქმნა ინტერნაციონალური გაერთიანება, რომელშიც ხუთი პარტია შევიდა. ამ ინტერფრონტმა აფხაზეთში უკვე გააჩაღა ინტენსიური მოღვაწეობა. მიტინგებს მართავს ოჩამჩირეში. მთავარ ბრალდებად გვიყენებენ საქართველოში პრეფექტის ინსტიტუტის შემოღებას. ამ მიტინგებში ინტერფრონტთან ერთად ჩაება ე. წ. საქართველოს ეროვნული კონგრესი, — ბატონმა ზვიადმა დარბაზს წარუდგინა აფხაზეთში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთი „Единение", სადაც ამ ფაქტთან დაკავშირებით ნათქვამია: «На митинге, в котором участвовало более 2000 человек, присутствовали представители национального конгресса Грузии» — ახლა მე მინდა მივმართო კითხვით საზოგადოებას, რომელიც მობრძანდა კონგრესისა და მისი ერთ-ერთი ლიდერის დასაცავად, როგორ შეიძლება ამ ფაქტის შეფასება? რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს ერის ინტერესების საზიანოდ მოქმედებას აფხაზი სეპარატისტების გვერდით? შეგიძლიათ მიპასუხოთ?

**ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე** — თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს არ ვიცნობ. მე შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ იმ დოკუმენტზე, რომელსაც მე მოვაწერე ხელი. ამ დოკუმენტში სიტყვა „განთავისუფლება" არ ეწერა. ხაზგასმული იყო „თავდებით გამოშვება". იქ გარკვევით ეწერა გამოძიებული იქნას საქმე და რა სასჯელიც ეკუთვნის, ის მიესაჯოს. საქართველოში დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ხალხში დაკარგულია სამართალდამცავი ორგანოების სამართლიანობის რწმენა. ქართველი ხალხის ერთი ნაწილი ეჭვით არის განწყობილი იმ სტრუქტურებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც იკვლევენ ჯაბა იოსელიანის საქმეს და სწორედ იმისთვის, რომ ეს ეჭვები გაიფანტოს, ჩვენ ვითხოვეთ შექმნილიყო კომისია თავისუფალ იურისტთაგან, საზოგადოების წარმომადგენელთაგან, რომელიც თავიდანვე იქნებოდა საქმის კურსში, აწარმოებდა საგამოძიებლო და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის რევიზიას და მუშაობის რეზულტატებს წარუდგენდა საზოგადოებას, რომ არ გაჩენილიყო არავითარი საფრთხე სიმართლის გაყალბებისა. თუ თქვენ არ მიგაჩნიათ მიზანშეწონილად ასეთი კომისიის შექმნა, მაშინ ბრძანეთ, რომ პროცესი ღია იქნება, ყველა მასალა გამოქვეყნდება

საქართველოს აქვს უფლება თვალყური ადევნოს პროცესის მიმდინარეობას; ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც მოინდომებს მასალების გაცნობას, შეუფერხებლად მიიღებს დოკუმენტაციას. აი მაგალითად, პროკურატურიდან არის ცნობა, გაასამართლეს „მხედრიონის" წევრი ზურაბიანი. ცნობა — „გლდანის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ჩემი თავმჯდომარეობით (წერს კოზმანაშვილი) 1991 წლის 7 მარტს გასამართლებული იქნა ვაჟა გურესის ძე ზურაბიანი, დაბადებული 1970 წელს, „მხედრიონის" წევრი. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს რესპუბლიკის 104 მუხლის I ნაწილით, 138 მუხლის I ნაწილით. სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით საერთო რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდით". ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია წავიდეს სოფელ გლდანში და გადაამოწმოს ბრალდების სიზუსტე. ჰკითხეთ იქაურ მოსახლეობას, ნამდვილად დაავალა თუ არა ზურაბიანმა კვირაში ერთი გოჭის მოყვანა, ხოლო როდესაც უარი მიიღო, მან ცეცხლი გაუხსნა მოსახლეობას. დაიჭრა ერთი კაცი. ამ ფაქტის სისწორის შემოწმება ყველა ჩვენგანს შეუძლია. წაბრძანდით, გაიგეთ. თუ ეს კაცი უსამართლოდ არის გასამართლებული, ხვალვე გამოვუშვებთ. აი კონკრეტული ფაქტი. თუ დამტკიცდება, რომ ზურაბიანი არის დიდი ეროვნული მოღვაწე, მართლა პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც ჩვენ ვდევნით და ამიტომ შევუქმენით ქურდობისთვის იჯდა. გადის ორი კვირა და ის კვლავ მოქალაქეს, ვინმე გელანტიას. ახლა კი, იძლევა ჩვენებას, მე რომ მილიციიდან არ გამოეშვი, მკვლელობაც არ იქნებოდაო. როგორ უნდა მოვიქცეთ. შეუძლია ვინმეს გარანტიის მოცემა, რომ ამჟამად დაპატიმრებული მხედრიონის წევრების განთავისუფლების შემთხვევაში, ამგვარი რამ არ მოხდება?

**ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე** — ჩვენ განთავისუფლება არ მოგვითხოვია, თავდებით გამოშვებას მოვაწერეთ ხელი.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — ნუთუ არ გესმით, თავდებით რომ გამოვუშვათ, ისევე ითარეშებენ, როგორც აქამდე. კაცი პატიმრობაშია და იქიდან აგზავნის პროკლამაციებს, მიუხედავად ჩვენი „ფაშისტობისა" და „ჩაუშესკუობისა", ის ახერხებს ადვოკატს გამოატანოს პროკლამაციები, რომლებიც მთელ ქალაქში ვრცელდება. თავდებით რომ გამოვა, რას მოიმოქმედებს, ამის გარანტიას ვერავინ მოგვცემს.

**ქ-ნი მ. ლ.** — ჩვენ თქვენ მოგწერეთ მხოლოდ მოთხოვნა, არც გაეროსთვის გაგვიგზავნია და არც გორბაჩოვისთვის. ამაზე არავინ პროტესტს არ აცხადებს. ისე მოიქეცით, როგორც უკეთესად ჩათვლით საქართველოსთვის.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — ის რომ არ იყოს განსაკუთრებულად საშიში რეციდივისტი, რომელსაც შეიარაღებულ ბანდებთან აქვს საქმე, რომლებსაც სხვათა შორის იარაღი ჯერ არ ჩაუბარებიათ მთლიანად, ძირითადი იარაღი მათ გადამალული

იქნება შესაძლებელი ჩვენს შორის კონსტრუქციული დიალოგი.

**ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე** — ჩვენც სწორედ ამისთვის გვინდოდა მისი თავდებით გამოშვება, რომ მოვლაპარაკებოდით, აგვეხსნა, შევცდილიყავით განგვემუხტა დღევანდელი დაძაბული მდგომარეობა.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — ვის ჰქონდა ინტერესი ჯაბა იოსელიანის დაჭერის? რაში გვჭირდებოდა დაპირისპირება ქართველებს შორის? პირველივე დღიდანვე შევეცადეთ, კონფლიქტი მშვიდობიანად გადაგვეწყვიტა. ჯერ სამღვდელოება მივუგზავნეთ, ლანძღვა-გინებით გამოისტუმრა, მერე საზოგადოების წარმომადგენლები. აი, ბატონი ელდარ შენგელაიაც იყო მათ შორის. შემდეგ ოფიციალური გაფრთხილებით მივმართეთ. მოჰყვა რაიმე დადებითი შედეგი ჩვენს მცდელობას?

**ბ-ნი ელდარ შენგელაია** — არავითარი შედეგი არ მოჰყვა.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — ამ ხნის მანძილზე ვეხვეწებოდით და ეს ხვეწნა მან აღიქვა ჩვენს სისუსტედ, ჩვენს ლაჩრობად. ბოლოს იქამდეც მივიდა საქმე, რომ ასმა ავტომატიანმა კაცმა ჩაკეტა ცენტრალური ქუჩა, რომელი ხელისუფლება მოითმენს ამას? ასი კაცი იდგა ფილარმონიასთან ავტომატებით ხელში და არ უშვებდა მანქანებს. თავდებით რომ გამოვუშვა, მომადგებიან აქ და შემოარტყამენ ალყას მთავრობის სასახლეს. რა გავაკეთო, დავღვარო ქართველი ახალგაზრდების სისხლი? ეს გინდათ მაინცდამაინც? მაპატიებთ მერე ან მე, ან თქვენს თავს ამას?

ავს მშვიდად ამ ყაჩაღობას? დიქტატურა ერთია და თავდაცვის მექანიზმი ყველა სახელმწიფოს აქვს. დემოკრატია ანარქიას არ ნიშნავს.

კიდევ ერთი, ბატონი აკაკი ბაქრაძის მიმართვაში ნათქვამია, რომ შეიქმნას საბჭო, რომელსაც შეიარაღებული ძალები დაექვემდებარებიანო, მაინტერესებს, თქვენი ცნობებით თუ არის სადმე ისეთი სახელმწიფო, სადაც არმია საბჭოს ექვემდებარება და არა სახელმწიფოს? მე არ გამიგია და შეიძლება არა მაქვს სწორი ინფორმაცია?

**ქ-ნი მანანა ძიძუაშვილი** — ბატონო ზვიად, ერთი ასეთი ინფორმაცია. გაზეთ „მეგაპოლის ექსპრეს"-ში არის ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან, სადაც ის ამბობს, რომ თუ მოინდომებს, ერთ საათში აიღებს მთავრობის სასახლეს და რომ მისი შეიარაღება ორჯერ აღემატება საქართველოს მთავრობის შეიარაღებას.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — რაღა შორს მივდივართ. გაზეთ „7 დღეში" დაწერა, რომ ჩვენ გავალთ ტყეში, დავიწყებთ პარტიზანულ ომს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. მოუწოდებდა სისტემატიურად სამხედრო შტაბზე თავდასხმისაკენ და სხვა. მე დიდი ხანია ვიცნობ ჯაბა იოსელიანს და პოლიტიკურ საკითხებში ის ყოველთვის განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა. ძალიან ლოიალური, მე ვიტყოდი, მშიშრობამდე ფრთხილიც კი იყო. თუ ახსოვს ვინმეს ჯაბა იოსელიანის პროტესტი წინა მთავრობების წინააღმდეგ, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო ფაქტის გამო. დღეს უცბად ეს კაცი

და ჩვენ არაფერი გვექნება საწინააღმდეგო. ეს ისევ იმისთვის არის საჭირო, რომ ვინმემ ხსენებული პროცესი ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ არ გამოიყენოს. ჩვენ იმდენი მტერი გვყავს ირგვლივ და შიგნითაც, რომ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ და მოვიქცეთ ისე, რომ არ დავუტოვოთ ადგილი რაიმე სახის ეჭვების წარმოქმნას.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — ისტორიიდან თუ იცნობთ, ან დღევანდელობაში თუ არსებობს ისეთი სახელმწიფო დედამიწის ზურგზე, სადაც დამნაშავეების საქმეებს იძიებდეს რაღაც ცალკე შექმნილი კომისია და არა სახელმწიფო სამართლებრივი ორგანოები. არსებობს ასეთი სახელმწიფო?

**მ. ლ.** არ არსებობს. არც არავის უთქვამს, რომ გამოიძიოს.

**ზ. გ.** — თქვენს მიმართვაში წერია, რომ საქმე კომისიამ უნდა გამოიძიოს.

**მ. ლ.** ჩვენ გვინდოდა, რომ შექმნილიყო კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებდა პროცესის მიმდინარეობას.

**ზ. გ.** — არათუ კომისიას, მთელ თითხნეთ საქმე, იმავე დღეს გავანთავისუფლებთ.

იცით თუ არა თქვენ, რომ დღეს ისეთი კონტროლია სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაზე, როგორც არასდროს ყოფილა. მათ თითოეულ ნაბიჯს მთელი პარლამენტი ადევნებს თვალყურს, რათა გაყალბება ან ფალსიფიკაცია არ მოხდეს. უამრავი ბრალდება არსებობს „მხედრიონის" წინააღმდეგ. ყველა ფაქტს სჭირდება გამოძიება. შევქმნათ, მართლაც, კომისია, გავაგზავნოთ კახეთში, სამტრედიაში. ესაუბრონ ხალხს, ცალკეულ მოქალაქეებს და მოახსენონ საზოგადოებას შედეგები...

**ბ-ნი დილარ ხაბულიანი** — ბატონო ზვიად, თავდებით გამოშვებასთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, კახეთში ერთ-ერთი ბრალდებული ჩვენებას იძლევა — მე რომ ციხიდან არ გაგეშვით, მკვლელობას არ ჩავიდენდიო. ორი სიტყვით აგიხსნით რაშია საქმე. თელავში დეკემბრის თვეში მხედრიონის წევრები შევიდნენ იზოლატორში და იარაღის მუქარით გაანთავისუფლეს რამდენიმე კაცი. კონკრეტულად ეს ახალგაზრდა მანქვთ. სამალავების ადგილმდებარეობა მხოლოდ ლიდერებმა იციან... დღეს რომ ასეთი ფეთქებადი სიტუაცია არ იყოს, და მათი გამოშვება ადამიანების სიცოცხლეს არ უქმნიდეს უშუალო საფრთხეს, მაშინ, რასაკვირველია, გამოვუშვებდით თავდებით. მაგრამ ისევ ვიმეორებ, ისინი შეიარაღებულნი არიან. იოსელიანს სამალავები აქვს იარაღის და მიდის ყველაფერზე, დაუფარავად მოუწოდებს საზოგადოებას გადატრიალებისკენ. ისევ დაიწყება შეიარაღებული წინააღმდეგობა, დაპირისპირება ხელისუფლებასთან. მაინცდამაინც გინდათ, რომ სისხლი დაიღვაროს?

**ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე** — არ გვინდა.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — მაშინ თავდების შესახებ ნუ აყენებთ საკითხს, იმიტომ რომ ეს კაცი არ ცვლის აღებულ კურსს, ის იმუქრება ციხიდან, მოუწოდებს ხალხს ფიზიკური ტერორისაკენ. თუ თქვენ მათთვის სიკეთე გსურთ, შეეცადეთ, რომ გონს მოიყვანოთ, უთხარით, რომ ჩააბარონ უკლებლივ მთელი იარაღი და მხოლოდ ამის შემდეგ დარბაზიდან — არ გვინდა.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — გინდათ, რომ ჩემმა ხალხმა უნდობლობა გამომიცხადოს? თქვენ იცით, რა მოთხოვნები მოდის? ჩვენ ამას ტელევიზიით არ ვაქვეყნებთ. მოითხოვენ უმაღლეს სასჯელს. ეს უბრალოდ, მართლაც, არაჰუმანური იქნება.

**ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე** — ბატონო ზვიად, თუ კანონით ეკუთვნის, უნდა მიესაჯოს.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — თქვენ იცით, რით განვსხვავდებით ჩვენ წინა ხელისუფლებისაგან. ადამიანის დაპატიმრება ჩვენთვის ძალიან ძნელია. სიკვდილით დასჯის გაუქმებისთვის ვიბრძვით. და მიუხედავად ყველა მცდელობისა, მშვიდობიანად მოვაგვაროთ პრობლემები, გვიწევს ძალის გამოყენება, დაპატიმრება, განიარაღება... დაიღალა ხალხი. აღარ უნდა შიშის ქვეშ ცხოვრება. რას მოვესწარით. მიცვალებულის პატივისცემაც კი დაიკარგა. შეუვარდნენ სამტრედიაში ოჯახს, მიცვალებული მიჰქონდათ, 40 000 მანეთი მოიტანეთო. ბავშვებს იტაცებდნენ, ძარცვავდნენ, ქურდობდნენ. რომელი სახელმწიფო შეხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის და სამხედრო შტაბის აფეთქებას მოითხოვს, ხომ დღესავით ნათელია, რომ ეს ყველაფერი ვილაცის დავალებით ხდება?

იოსელიანს ბოლო დრომდე მგელაძესთან ჰქონდა სისტემატური კავშირი. ღებულობდა ინსტრუქციებს, რომ როგორმე საქართველოში მოეწყო შეიარაღებული აჯანყება, იმიტომ რომ კრემლს სჭირდება საბაბი საქართველოში ჯარების შემოსაყვანად. ცხინვალში კი არის არეულობა, მაგრამ ამ მიზეზით თბილისში ხომ არ შემოიყვანს ჯარებს. თუ სერიოზული კონფლიქტი არ მოხდა, ასე პირდაპირ ვერ შემოიჭრება. ბოლოს და ბოლოს, მაინც არის დაინტერესებული დასავლეთის აზრით თავისი საშინაო პოლიტიკის შესახებ. აგერ მაქვს ლაგოდეხის სამხედროების წერილი, პირდაპირ გაგეცინებათ, ისეთ რაღაცეებს წერენ, ჯარია ეს, თუ რა არის, ვერ გაიგებთ. შიშით ცხვირს ვერ ყოფდნენ ყაზარმიდან. ასეთი წერილები მე თუ მომდის, წარმოიდგინეთ, კრემლს რა რაოდენობით ეგზავნება და მოსკოვში დგება საქმე, რომ საქართველოში არის შეიარაღებული წინააღმდეგობა არმიასა და მოსახლეობას შორის. რისი იმედით ებრძვის საბჭოთა არმიას, თუ დავალება არა აქვს, გეკითხებით! შავნაბადას ამბავიც სპეციალურად იყო მოწყობილი, რომ დოსიე შექმნილიყო საქართველოზე.

ამ დროისათვის, დარბაზს საზოგადოების დარჩენილი ნაწილიც შემოემატა. ბატონ ზვიად გამსახურდიას შესავალი სიტყვის თქმა მეორედ დასჭირდა. მან განმარტა, რომ ეს არ არის კონგრესისა და უზენაესი საბჭოს შეხვედრა, ხოლო საზოგადოებას სთხოვა შემოეტანათ წინადადებები, მოსაზრებები და განცხადებები საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

თავის გამოსვლაში ბატონმა თემურ ქორიძემაც აღნიშნა, რომ „ინტელიგენციას შეეძლო თავისი შემრიგებლური მისია უფრო ეფექტურად მაშინ შეესრულებინა, როცა არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვების პირველივე დღეებიდან „ოპოზიცია“ ზოზოქრობდა და პირდაპირ და აშკარად აცხადებდა: ჩვენი მიზანია პარლამენტის დამხობა, ჩვენი მიზანია პარლამენტის დისკრედიტაცია, ჩვენი მიზანია საქართველოს დატოვება პარლამენტის გარეშე. რატომ არავინ მიმართა მაშინ ჩვენთან დაპირისპირებულ მხარეს, რომელიც თავს ოპოზიციად კი არა, ჩვენს მტრად თვლიდა. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ოპოზიცია არის კონსტრუქციული თანამშრომლობა, რაც განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მთელ მსოფლიოში არსებობს საკანონმდებლო ინიციატივის პრინციპი. რომელიც არც ერთხელ, ვიმეორებ, არც ერთხელ არ ყოფილა გამოყენებული მეორე მხარის მიერ. ჯანსაღ ოპოზიციად საქართველოში მე მივიჩნევდი დასს, რომელიც უზენაეს საბჭოში შემოვიდა კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივით და აქტიური მონაწილეობა მიიღო პრესის კანონის შემუშავებაში. აი ეს არის ოპოზიციური აზრის მოქმედების ნიმუში სახელმწიფოში, რაც შეეხება კონგრესისა და მხედრიონის მოღვაწეობას, არავითარი კავშირი ამას არა აქვს ოპოზიციის ზოგად პრინციპებთან“.

ამრიგად, შეხვედრის ამ ეტაპზე ამოიწურა ყველა სადავო-საკამათო საკითხი მიმართვაში შემოთავაზებულ პირველ სამ პუნქტთან დაკავშირებით.

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ დაინტერესებულ პირებს არათუ არვინ უკრძალავს, არამედ მოუწოდებენ შექმნან კომისია, რომელიც გამოიკვლევს მხედრიონის წევრთა მიმართ წაყენებულ ყველა კონკრეტულ ბრალდებას, რათა გაიფანტოს არასასურველი მითქმა-მოთქმა და ეჭვები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დარბაზში მსხდომთ დიდი ენთუზიაზმი არ დასტყობიათ ამასთან დაკავშირებით.

შეხვედრა რამდენიმე საათს გაგრძელდა. შემდგომი გამოსვლები ძირითადად ეხებოდა ინფორმაციის საშუალებების მუშაობას, ზოგად დემოკრატიულ და ჰუმანიტარულ პრინციპებს. ინფორმაციას ამის შესახებ შემდეგ ნომერში მოგაწვდით.

# პრეს-მიტინგი ყოფილ „იმელში“

**13 მარტს** რედაქციაში მოგვართვეს მოსაწვევი — „ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი ყოფილ „იმელის“ შენობაში ატარებს პრესკონფერენციას — აფხაზეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. გთხოვთ მიავლინოთ თქვენი გაზეთის კორესპონდენტები პრესკონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად“.

მართლაც, მივავლინეს, მივიღეთ მონაწილეობა, მაგრამ იმას, რაც „იმელში“ გაიმართა, პრესკონფერენცია მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. ეს უფრო მიტინგს ჰგავდა, რომლის ფაქტობრივ მიზანს, ჩვეულებისამებრ, საქართველოს უზენაესი საბჭოს და კერძოდ, ბატონ ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაცია წარმოადგენდა. ამჯერად კომენტარებისაგან თავს შევიკავებთ (ოღონდ არა იმის შიშით, რომ არადემოკრატიულობას დაგვწამებენ, რადგან დემოკრატიის ესოდენ ორიგინალურ გაგებას არ ვიზიარებთ), — დასკვნები თავად გამოიტანეთ.

ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ კომიტეტში შედის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცხუმ-აფხაზეთის ბიურო, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სოხუმის განყოფილება. რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია, ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაცია, საქართველოს მონარქისტულ-კონსერვატიული პარტია.

სიტყვით გამოვიდნენ ბატონები ბორის კაკუბავა, მალხაზ პატარაია, თორნიკე კილანავა, აბესალომ მიქელაძე, ალექსანდრე ჯიქია, ზურაბ ნაროუშვილი და სხვები. ძალზე ემოციურად ილაპარაკა ქალბატონმა ლუიზა შაკიაშვილმა.

წაიკითხეს „საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრთა მიმართვა“, რომელიც მრგვალ მაგიდას აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებთან გარიგებას სდებს ბრალად. ამ გარიგების შედეგიაო 1990 წლის 4 დეკემბრის აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის ჩატარება და გადაწყვეტილებები, რომელთა მიხედვით, ფაქტობრივად, ძალაში შევიდაო 31 აგვისტოს სესიის მიერ გაუქმებული დადგენილება „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრიობის დაცვის გარანტიების შესახებ“ და „დეკლარაცია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“, გარიგების შედეგიაო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ვ. არძინბას და მის პირველ მოადგილედ — ვ. ყოლბაიას არჩევა, გარიგების შედეგიაო, რომ სესიაზე მიიღეს კონსტიტუციის ახალი მუხლი, რომლითაც „დაფიქსირდა საქართველოდან აფხაზეთის ტერიტორიის გამოყოფის საბჭოურ-სამართლებრივი ფაქტი“, გარიგების შედეგიაო, რომ „უცვლელი დარჩა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პრეამბულა და ის ადგილები, სადაც აფხაზეთი მოხსენებულია როგორც „სოციალისტური“, „საბჭოთა“ სახელმწიფო“, ამით დაფიქსირდაო, „განსხვავება საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციებით განსაზღვრული ხელისუფლების ფუნქციონირების სამართლებრივ რეჟიმებს შორის“. გარიგების შემდგომი ეტაპი იქნებაო აფხაზეთის „კონსტიტუციური დაუმორჩილებლობა“ საქართველოს მიმართ, „კონსტიტუციური ომი“ საქართველოსა და აფხაზეთს შორის. რაც კრემლს აწყობს. გალის რაიონის პრეფექტის დანიშვნა ამ პროცესების კატალიზატორიაო და ერთის მხრივ, აფხაზეთისგან გალის რაიონის ჩამოშორება შეიძლება გამოიწვიოს, რაც აფხაზეთში ანტიქართული და ანტიდემოკრატიული ძალების გაძლიერებას ხელს შეუწყობსო, მეორეს მხრივ — ეთნოკონფლიქტის ახალ კერას შექმნის, აფხაზეთში ფართო მასშტაბიანი დესტაბილიზაციის მიზეზი გახდებაო. „საქართველოს ადგილობრივ მარიონეტულ ხელისუფლებას ზემოაღნიშნული გეგმის კრემლის სურვილისამებრ წარმართვისათვის“ ხალხის ყურადღება გადააქვსო „შიდა ქართლში მისივე პოლიტიკით მნიშვნელოვანწილად განპირობებულ რთულ ვითარებაზე, ოპოზიციის წინააღმდეგ წარმართულ აღვირახსნილ ცილისმწამებლურ კამპანიაზე და იმ აჟიოტაჟზე, რომელიც თან ახლავს საქართველოს ეროვნული კონგრესისა და პატრიოტული გაერთიანება „საქართველოს მხედრიონი — ქართველ მაშველთა კორპუსის“ მიმართ სხვადასხვა ფორმით (მათ შორის, საოკუპაციო ჯარის გამოყენებით) განხორციელებულ რეპრესიებს“. ქართველ ერს ილუზიას უქმნიან, თითქოს აფხაზეთში საგანგაშო არაფერი ხდებაო, ხოლო ჩვენ ინფორმაციის საშუალებებს არ გვაკარებენო. კონგრესის წევრები მოითხოვენ — ა) გაუქმდეს საგანგებო მდგომარეობა აფხაზეთში, ბ) გაუქმდეს პრეფექტის ინსტიტუტი, გ) განთავისუფლდეს საპყრობილედან ბ-ნი ჯაბა იოსელიანი, ბ-ნი ზ. ვეფხვაძე და სხვა პოლიტპატიმრები. დ) მასობრივი ინფორმაციის ოფიციალურმა საშუალებებმა ობიექტურად გააშუქონ აფხაზეთში მიმდინარე პროცესები. ე) დაიწყოს ქართულ-აფხაზური პოლიტიკური კონსულტაციები, სადაც დადასტურებული იქნება მხარეების მზადყოფნა, მოაგვარონ სადავო საკითხები მშვიდობიანი საშუალებებით ურთიერთგარანტიებისა და შემდგომი პასუხისმგებლობის ალების საფუძველზე“. აგრეთვე, მოითხოვეს აფხაზეთის საკითხზე კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის გაიმართოს საჯარო დებატები.

აფხაზეთში 17 მარტს საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით განაცხადეს — საქართველოს უზენაესმა საბჭომ 25 იანვარს მიიღო დადგენილება, 17 მარტს სოხუმის საარჩევნო ოლქში ჩატარდეს გარდაცვლილ დეპუტატ ადლეიბას ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნები და ამით საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებას ხელს უწყობენო. თურმე არძინბას საარჩევნო კომისიისთვის დაუვალებია აგრეთვე რეფერენდუმის ორგანიზება. აფხაზები საარჩევნო უბანში მოსულ ქართველებს რეფერენდუმში მონაწილედ გააფორმებენო. კომენტარისაგან თავს კი ვიკავებთ, მაგრამ ჩვენთვის გვიკვირს — რეფერენდუმის შედეგების [illegible]ნელი გაყალბება რატომ არ ედება ბრალად ფალსიფიკატორს და რატომ ედება იმას, ვინც განაცხადა, რომ საქართველო რეფერენდუმში საერთოდ არ მონაწილეობს?

ასევე ვერ გავიგეთ — ბატონ ზვიად გამსახურდიას მოსთხოვეს პასუხი ცილისწამებისთვის, ცნობა ოჩამჩირეს მიტინგში კონგრესმენების მონაწილეობის შესახებ სიცრუეაო, მაგრამ რატომღაც პასუხი არ მოსთხოვეს გაზეთ „ედინენიეს“, რომელმაც ეს ცნობა გამოაქვეყნა (სხვათა შორის, პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს, რომ კომიტეტის განკარგულებაშია ვიდეოკასეტა მიტინგის სრული ჩანაწერით, მაგრამ საიდან გაუჩნდათ, არ განუმარტავთ).

განაცხადეს, რომ არძინბამ 6 თებერვალს გასცა განკარგულება აფხაზეთის უზენაეს საბჭოში შეიქმნას „შემათანხმებელი კომისია“ („согласительная комиссия“), რომელშიც მრგვალი მაგიდის დეპუტატებიც შევიდნენ, ეს კი იმას ნიშნავს, აფხაზებს ჩვენ კი არა, ზვიად გამსახურდია მოურიგდაო.

მიტინგზე, უკაცრავად, პრეს-კონფერენციაზე ზვიად გამსახურდიას პიროვნებაზე გაცილებით მეტი ილაპარაკეს, ვიდრე აფხაზეთის პრობლემებზე, განდიდების მანია აქვს, 31 მარტს არჩევნები იმიტომ დანიშნეს, რომ მისი დაბადების დღეაო, დაუყოვნებლივ თუ არ გადადგება, საქართველოს დაღუპავსო, ისიც კი თქვეს, საერთაშორისო სამედიცინო კომისიის ცნობა წარმოადგინოს, რომ ფსიქიკურად ნორმალური ადამიანია, თურმე უკვე ვირთხები ელანდებაო (ჩვენთვის გვიკვირს, ან ხალხს უნდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ცილისწამებისთვის სამართლის წესით პასუხი აგებინოს!)

მეტს აღარ გავაგრძელებთ, მკითხველი თვითონ გაარკვევს ვინ ვინ არის.

**მივლინებული კორესპონდენტი.**

**რედაქციისაგან: გაზეთ „საქართველოს“ ბოლო ნომერში (12 მარტი, 1991) საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებების სახელით გამოქვეყნებულია წერილი რამდენიმე მოთხოვნით. კერძოდ, მესამე მოთხოვნაში ნათქვამია: „ოფიციალური ხელისუფლებისაგან განსხვავებული აზრისა და პოზიციისათვის, თუ იგი საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ ეწინააღმდეგება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, შანტაჟი, პოლიტიკური დამღების მიკერება და ადმინისტრაციული ზემოქმედება კანონით აიკრძალოს“.**

**საინტერესოა, წერილის ერთ-ერთი ხელისმომწერი და ხსენებული პრესკონფერენცია-მიტინგის მონაწილე, ბატონი გურამ ყორანაშვილი რა შეფასებას აძლევს „იმელის“ თავყრილობაზე გამოთქმულ „მოსაზრებებს“?**

**აგრეთვე გვაინტერესებს, წერილის ხელისმომწერი კონგრესმენები, ბატონები ა. ჯავახიშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ზ. კიკნაძე, თ. კვაჭანტირაძე, ვ. კოტეტიშვილი და სხვები, უყენებენ თუ არა რამენაირ მოთხოვნებს — სამართლებრივს, მორალურს, ეთიკურს თუ სხვა — „ხალხის ნების გამომხატველ“ იმ ორგანოს, რომლის წევრებიც თავად ბრძანდებიან.**



# ამბავი ჭალიძესთან შაყრილის შეყრისა

**ქალბატონი** თამარ შაყრილი აფხაზეთში ცხოვრობს, ბატონი ვალერი ჭალიძე — ვერმონტის შტატში. ერთმანეთს, ალბათ, არ იცნობენ, შეყრით კი შეყრილან, სიარის ტყუპებს არ ექნებოდათ მეტი სიახლოვე, ვიდრე ამ პატივცემულ გვამებს აქვთ — ერთნაირად იწვიან და იდაგებიან დემოკრატიის სიყვარულით.

ბატონმა ვალერიმ საბჭოთა ჟურნალ „ნოვოე ვრემიაში" (№52, 1990 წ.) გამოაქვეყნა წერილი „ცივილიზებული წესრიგი და სახალხო ვნებები", სადაც დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რესპუბლიკური დამოძღვრა — გაიგეთ, დამოუკიდებლობას თავისუფლება თავისთავად არ მოჰყვება, ხოლო „საზოგადოების დემოკრატიულ მოწყობას და თავისუფლებას აუცილებლად, ამა თუ იმ ფორმით, დამოუკიდებლობა მოაქვს, თუნდაც ხალხი ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩეს". (!) ამ განცხადების შემდეგ, რომლის დიალექტიკური სიღრმე კარლ მარქსსაც კი შეშურდებოდა, რაღა გვეთქმის?! სულ მცირე, გონებაჩლუნგები ვყოფილვართ. რა თავს ვიკლავთ, რას ვიტანჯებით, წყნარად დაველოდოთ, სანამ საბჭოთა კავშირი ნება-ნება გარდაიქმნება საბჭოთა შეერთებულ შტატებად და ჭალიძეებ-შაყრილები „ცივილიზებულ წესრიგს" დაგვიმყარებენ...

ვალერი ჭალიძეს თურმე ვერ წარმოუდგენია, რომ რესპუბლიკები საბჭოთა კავშირიდან გავლენ, დიდი-დიდი — „არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთმა რესპუბლიკამ მართლაც მიაღწიოს კავშირთან ურთიერთობის შესუსტებას". ეს არის და ეს! თუმცა სეპარატიზმის იდეა ზოგიერთ ავტონომიურ რესპუბლიკასაც გადაედო — „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას არ უნდა საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა" — და ეს, ერთის მხრივ, სრულიად ბუნებრივიცააო, „თუ უფლებებია — ყველასია, თუ თვითგამორკვევაა, ასევე ყველასთვის", მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს ყოველივე ქვეყნის დაშლას და ქაოსს გამოიწვევსო. აბუჩად აგდებული კონსტიტუციის და კანონების უგულვებელყოფა მხოლოდ ძალადობის აზვირთებას მოიტანსო შედეგად, განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთ რაიონებში, რადგან „აზერბაიჯანელებს არ უნდათ ყარაბაღის გაშვება, ქართველებს არ სურთ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გაშვება, მოლდაველებს — გაგაუზების და ა. შ."

ბატონ ჭალიძის შორსმჭვრეტელობა, ანალიტიკური აზროვნება, და რაც მთავარია, უმწიკვლო დემოკრატიზმი ისეთ თვალუწვდენელ სიმაღლეს აღწევს, რომ კომენტირების ყოველგვარი ხალისი გეკარგება — მიდი და ეკამათე კაცს, რომელიც ვერ (უფრო სწორად, არ) ხედავს განსხვავებას ყარაბაღის პრობლემასა და აფხაზეთში ან შიდა ქართლში არსებულ ვითარებას შორის.

მაგრამ ბატონი ვალერის „დემოკრატიული" აზროვნების ერთ-ორ ნიმუშს მაინც მოვიტანთ. გულს რაც არ უნდა „შემოგვეშაყრილოს", როგორმე გავუძლებთ.

ბატონი ჭალიძე კითხვას სვამს — ნუთუ მცირე ხალხებს არ ესმით, რომ არა მათი სიძლიერე, არამედ მხოლოდ ცივილიზებული წესრიგი უზრუნველჰყოფს მათ არსებობასო? ხომ ცხადიაო, საქართველო და სომხეთი მათმა ძალამ კი არა, არამედ რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულებებმა (თუნდაც, უსამართლო და შემავიწროვებელმა) გადაარჩინესო. მცირე ხალხებს, ალბათ, კი ესმითო, აგრძელებს ავტორი, თავისი მოთხოვნების წამოყენებისას იმედი აქვთ, რომ საკავშირო მთავრობა, რუსი ჯარისკაცი დაიცავსო. მაგრამ სწორედ აქაათ წინააღმდეგობა — იმედს ამყარებენ საკავშირო მთავრობაზე როგორც მათი და წესრიგის დამცველზე და არ ესმით, რომ საკავშირო მთავრობა „მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს წესრიგის წყარო, თუ საკუთარ კონსტიტუციას და კანონებს თვითონვე დაიცავს". საკავშირო მთავრობამ ეს რომ დაივიწყოს და რომელიმე ხალხს მიემხროს, ის უმალ დაკარგავს ცივილიზებული წესრიგის დამცველის მნიშვნელობას და ღირებულებასო.

ბატონო ჭალიძე! 70-წლიანი განუწყვეტელი უკანონობისა და ბოროტმოქმედების შემდეგ როგორ მოახერხეთ საბჭოთა მთავრობა ცივილიზებული წესრიგის დამცველად გამოგეცხადებინათ?! საოცარია, ღმერთმანი! ამას მხოლოდ თქვენისთანა „გამობრძმედილი დემოკრატი" თუ გაბედავდა! თქვენი აზრით, 9 აპრილსაც თბილისში საბჭოთა მთავრობა ცივილიზებულ წესრიგს ამყარებდა, არა?! ცხადია, იმდენად „ცივილიზებულს", რამდენადაც თვითონაა „ცივილიზაციის" უშრეტი ჩანჩქერი, ან სულაც, შუქურ-ვარსკვლავი!

„ქედელცერცვშაყრილიათ" — თქვენზე შეიძლება ითქვას, ბატონო ვალერი!

ბატონი ჭალიძე წერს, რომ არ არსებობს გარეგანი საშუალება, რომელიც ხალხს (სიტყვა ერს არ ხმარობს) დაუყოვნებელი დამოუკიდებლობის მოთხოვნას გადააფიქრებინებდაო. ისღა დაგვრჩენია, ყოველი ხალხის სიბრძნის იმედი გვქონდესო. მაგრამ შემდეგ ამ იმედს თვითონვე გადაიწურავს — თავაზიანი ლოზუნგი ხალხების სიბრძნის შესახებ ბოლომდე სერიოზულად არ უნდა მივიღოთ, განა კაცობრიობის ისტორიაში ხალხებმა ცოტა სისულელე ჩაიდინეს, რომ ამ ლოზუნგს ეჭვის თვალით არ შევხედოთო? და აცხადებს — „ცოტა ხნის წინ გარდაცვლილ ფილოსოფოსს მამარდაშვილს იმედი ჰქონდა, ქართველი ხალხის სიბრძნისა ან თუნდაც საღი აზროვნებისა (და მე მას ბანს ვაძლევდი). მაგრამ საქართველოს ხალხმა თავის თავს უბედურება თვითონ დაატეხა, როდესაც რესპუბლიკის მეთაურად აირჩია კაცი, რომელსაც ადამიანის უფლებებზე საკმაოდ გამრუდებული წარმოდგენა აქვს. ხალხის სიბრძნის იმედი შეიძლება გვქონდეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მისი ვნებები, სიბრმავე, მცდარი შეხედულებები, ძველი წყენა და სხვა არასრულფასოვნება, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ადამიანების ერთობა".

გმადლობთ, ბატონო, უკაცრავად, „ამხანაგო" ვალერი! „ბრმებს" თვალი აგვიხილეთ. უკვე გასაგებია, რომელ „ცივილიზებულ წესრიგს" იცავთ და რა ფერისაა თქვენი „დემოკრატია" — სისხლისფერი.

რომაელები ამბობდნენ, მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა ან არაფერიო. ჩვენც შევიკავებთ თავს, მაგრამ საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება ქართველი ერის ლანძღვა მერაბ მამარდაშვილის სახელით... საბა-სულხანის ერთი გზირისა არ იყოს.

„ამხანაგი" ჭალიძე წერილს ასე ამთავრებს — „ყოველთვის სამწუხაროა ჩაგვრის ყურება, მაგრამ იმის დანახვა, რომ ჩაგრავს ის, ვინც ცოტა ხნის წინ თვითონ იყო დაჩაგრული, ორმაგად სამწუხაროა — ადამიანების ცივილიზებულობის რწმენა გეკარგება. ამაზე უნდა დაფიქრდნენ ქართველი შოვინისტები და მოლდაველი ლიდერებიც, და მრავალი სხვაც, ვისაც დემოკრატია უნდა თავის სასარგებლოდ, მაგრამ სხვების საზიანოდ" (ამ მრავალ სხვაში რუსი, ცხადია, არ იგულისხმება — ისედაც ერთთავად დაფიქრებულია, როგორ გააბედნიეროს მეზობელი ერები და მთლიანად კაცობრიობა...).

დავიჯეროთ, გამოცდილი „დისიდენტი" ჭალიძე საბჭოთა პროპაგანდამ მოატყუა და არ იცის საქართველოში რა ხდება? ვერ დავიჯერებთ. „ამხანაგი" ვალერი სწორედაც შეგნებულად ასრულებს დაკვეთას (უფრო სწორად, დავალებას) — დემოკრატიის დაცვის საბაბით იცავს საბჭოთა იმპერიას...

ქალბატონი თამარ შაყრილიც დემოკრატიის თავგამოდებული დამცველია. იგი უთუოდ ის შაყრილია, რომელმაც 19 იანვარს სოხუმში აფხაზეთის დემოკრატიული პარტიის ყრილობა გახსნა და ამ პარტიის პოლიტიკურ საბჭოშია არჩეული (იხ. „თავისუფალი საქართველო", №3 (8), 1991 წ.). მაგრამ ჩვენთვის მისი „დემოკრატიზმი" მთელი სიგრძე-სიგანით აფხაზეთის სახალხო ფორუმის გაზეთ „ედინენიეში" (№2, 1991 წ.) გამოქვეყნებული წერილით წარმოჩინდა — „ფლობის უფლების გარეშე — ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად გამსახურდიას".

ამ გამაოგნებელი წერილის წაკითხვის შემდეგ ტელეპატიის არსებობა ვიწამე — აბა, შაყრილ-ჭალიძე ერთმანეთს ამ სიშორეზე, ოკეანესგადაღმა თავის აზრებს როგორ გადასცემდნენ?! თამარ შაყრილი ასაკოვანი ქალბატონი რომ არ ბრძანდებოდეს (ეს წერილის ტექსტიდან ჩანს) შევბედავდი და ვეტყოდი — ამერიკაში თქვენთვის სულიერი მეგობარი მეგულება, თანამოაზრე, მფარველი და დამცველი, თქვენი ბედიც ეგ ყოფილა, იხარეთ და იქლურტულეთ ვერმონტის შტატში-თქო!. მაგრამ არ გამოვა ამ ორი პატივცემული გვამის გამთლიანება, რას იზამ, მუხთალია წუთისოფელი...

ხუმრობა იქით იყოს და, სერიოზულად თ. შაყრილის წერილის განხილვა შეუძლებელია, რა შეიძლება უთხრა ადამიანს, რომელიც ასეთ რამეს დაწერს — „აფხაზეთი საქართველოს ძირძველი ტერიტორია არასოდეს ყოფილა. ეს თქვენ კი უნდა იცოდეთ, ბატონო ზვიად. არავის დაუმტკიცებია ისიც, რომ სამხრეთ ოსეთი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, უფრო მეტიც, პირიქით, არქეოლოგიური მონაცემები საწინააღმდეგოს მოწმობს და თქვენი წადილი აფხაზეთის და ოსეთის ფლობისა — სულაც არ არის იმის არგუმენტი, რომ ისინი თქვენს სამფლობელოში შედიან".

ქალბატონი შაყრილი ძუძუმწოვარა ბავშვი არ არის, ისტორია არ იცოდეს (ყურმოკრულად მაინც), ბავშვი კი არა, აფხაზეთის „დემოკრატიის დედა" ყოფილა, მაგრამ მაინც ასეთ ყოვლად უმსგავსო, უნამუსო, უტიფარ ტყუილს კადრულობს. ასე მგონია, ეს არც „დემოკრატიის" სიყვარულით მოსდის და არც რაიმე სხვა მიზეზით — ეს უკვე სერიოზული გადახრაა, ზნეობრივ-სულიერი შეურაცხადობა. იქნებ საქმე გვაქვს ახალ ფსიქოპათიურ ფენომენთან — „შაყრილაცხადობასთან"?

ხუმრობა კვლავ იქით იყოს — ქალბატონი შაყრილის უზარმაზარი წერილის სერიოზული განხილვა იმიტომაცაა შეუძლებელი, რომ ის თავის აბსურდული ბრალდებებით, დემაგოგიით და ვითომც ირონიული ტონით ქართველი ერის და პირადად ბატონ ზვიად გამსახურდიას შეურაცხყოფაა. მოვიტან ვრცელ ციტატას დედნის ენაზე (დიახ, დედნის! თავს მოვიკლავ, თუ ეს წერილი რუსულად არ იყოს დაწერილი).

— «Именем всего самого священного умоляю Вас: не испытывайте наше терпение! Вас и некоторых Ваших приспешников оскорбили слова А. Сахарова, открыто указавшего Вам на империалистическую суть устройства Грузии. Вы же стремитесь хотя бы выдавать себя за демократов. Но в чем заключается Ваш демократизм? Не в том ли, что Вы создаете режим, ставящий Ваш народ в привилегированное положение даже на чужой территории, которую вы сможете заполнить и захватить любой ценой, любыми неправдами, в ущерб народам, подлинным хозяевам этих территорий. Иначе — установить «демократию по грузински», как власть агрессивного большинства.

Интересно, Вам не приходит в голову, что подобная демократия сродни рабовладельческому обществу? А если обратиться к опыту нашего века, то — фашизму?

Я понимаю, Вы — филолог, тонкости политологии — стихия не Ваша: печь пироги — не тачать сапоги. Но коль скоро назвался груздем, ничего не попишешь, надо, голубчик, надо лезть в кузов. Так, что, надо хоть изредка заглядывать в анналы, «хранящие опыт человеческой мудрости»...

როგორ მოგწონთ? არაა გადასარევი?! და რა ვუთხრათ, რა შეიძლება უთხრას ჭკუათმყოფელმა ადამიანმა „შაყრილაცხად" ადამიანს?! გონს მოეგეო? სინდისნამუსს მოუხმეო? თუ ეს არც ერთი არ გააჩნია?! „შაყრილაცხადების" საშველს ჯერჯერობით ვერ ვხედავ, სანამ საბჭოთა იმპერია არსებობს, მანამ იბოგინებენ, ტყუილითა და ცილისწამებით, ავტომატებითა და რაკეტებით დაიცავენ „დემოკრატიას". როცა საბჭოთა კავშირი დაიშლება, ალბათ, თავისთავად განიკურნებიან...

მაგრამ აფხაზური „დემოკრატიული" აზროვნების ერთ-ორ შედევრს კიდევ შემოგთავაზებთ — იმდენად „კომიკურია" (მართლაც კომიკური იქნებოდა, ალმაშფოთებელი რომ არ იყოს).

თურმე, 1989 წლის ივლისში სოხუმში კბილებამდე შეიარაღებული ქართველი „ბოევიკები" ჩასულან, რომ ლენინის მოედანზე შეკრებილი მშვიდობიანი აფხაზები ჩაეხოცათ, აფხაზებს იარაღი არ ჰქონიათ, ჰქონდათო მხოლოდ „შუმოვიკები" — პაკეტები, რომლებიც აფეთქების ხმას გამოსცემენ. ეს „შუმოვიკები" ქართველი „ბოევიკების" საბარგო მანქანების ბორბლებქვეშ შეუყრიათ პანიკის გამოსაწვევად და მიზანსაც მიაღწიეს — «Бежали робкие грузины» во всю прыть вместе со своими автоматами, Абхазы же преследовали их, «вооруженные» палками, наспех обломанными с деревьев ветками, лишь с одной целью: не дать им опомниться и вновь бросить свои силы на безоружный народ. При этом, грешно, но смешно, абхазы, гнавшие грузин, предостерегали друг друга возгласами: «Осторожно! Не убейте! Не убейте нечаянно!».

ბარაქალა, რა გულადი ჰუმანისტები ყოფილხართ! ერთი კი მიკვირს, მანქანით გაქცეული ქართველი როგორ შეიძლება შემოკვდომოდა ფეხით დადევნებულ აფხაზს, რომელსაც, მით უმეტეს, ხელში ტოტის თუ ნაფოტის მეტი არაფერი ჰქონდა?!. ეტყობა ჰალომხსნაირი „შაყრილაცხადი" უნდა იყო, რომ ეს მონა...თხრობი (კინაღამ დავწერე, მონაჩმახი) დაიჯერო.

თურმე, ქართველები ამიერკავკასიის ტერიტორიას აღარ სჯერდებიან, განუზრახავთ რუსეთის დაპყრობა და იქ თავის ... ენ ცენტრებს ქმნიან, ... „მალაია" და ... სკაია" ქუჩები, „...ური" და ... ამასთან ერთად, ჯავრობენ — „რა ბევრი რუსია ჩვენს მოსკოვში!" ჯავრობენ, რადგან მოსკოვში ქართველების რიცხობრივი უპირატესობის შექმნა უფრო რთული ყოფილა, ვიდრე აფხაზეთში. აფხაზეთში ქართველების მასობრივი ჩასახლება მაშინ მომხდარა, როცა თითქმის ყველა აფხაზი მამაკაცი სამამულო ომში იბრძოდა. „განა საშინელი პარადოქსი არ არის: აფხაზები იცავდნენ რა საერთო სამშობლოს, იმავდროულად საკუთარს კარგავდნენ".

ქალბატონო შაყრილ! საშინელი პარადოქსი ისაა, თქვენ რომ დემოკრატი გქვიათ და ჩვენ კი იმპერიალისტებს გვეძახიან.

თურმე, როგორც აფხაზური „დემოკრატიის ბურჯი" ვარაუდობს, 9 აპრილს ჯარი საქართველოს „დასაშოშმინებლად" კი არ შემოუყვანიათ, არამედ „ქართველებს შორის სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად"! („შაყრილაცხადობის" აშკარად გამოხატულ კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. არასპეციალისტისთვისაც კი ნათელია — სასწრაფოდ საჭიროებს სტაციონარულ მკურნალობას. მაგრამ მაინც არ უშველის და რად გინდა... ძალზე მძიმე შემთხვევაა).

თურმე, იმხანად ქალბატონ შაყრილთან ცნობილი ქართველი ინტელიგენტები (გვარებს „დემოკრატიისა და ეთიკის დედა", რასაკვირველია, არ ასახელებს) ჩადიოდნენ და შეძრწუნებულები უყვებოდნენ ქართველების ველურობა-ბარბაროსობის ამბებს. მაშინ ვერ მივხვდი, რატომ ჩიოდნენო ჩემთან, მოგვიანებით მოუსაზრებია — „მაშ ასე, რაღაც დროის მერე, როდესაც ჩვენამდე მოაღწიეს ხმებმა, თუ რა ხდებოდა საქართველოში, გონება გამინათდა, მივხვდი, რომ, შესაძლოა, ქართული ინტელიგენციის რაღაც ნაწილს უნდა აფხაზეთში თავშესაფარი ეპოვოს, როგორც ძველ საწუკვარ დროს ხდებოდა ხოლმე, როდესაც თავის ქვეშევრდომებისგან დევნილი ქართველი მეფეები მეზობელ ძლიერ სამეფოში — აფხაზეთში პოულობდნენ საშველს. შესაძლოა, ისინი ფიქრობდნენ, რომ ხნოვანი ქალი უკეთ გაუგებდა და გულისხმიერებას გამოიჩენდა, თავის თანამოძმეებს („сородичам") აუხსნიდა საქმის ვითარებას და ამით როგორღაც დაეხმარებოდა".

„სოროდიჩო" შაყრილ! როცა თქვენთან კვლავაც ჩამოვლენ ქართველი ინტელიგენტები, გვიდეჟ პეშეთ და სურსათ-სანოვაგეს გაუგზავნით, თქვენ ისიც გეუბნებათ, რაც, როგორც წერილში წერთ, ომის დროს თქვენს ოჯახს აფხაზეთში ჩასახლებული ქართველები შიმშილით დაღუპვისგან გადაურჩენია!.. ალარ გათავდნენ რაც ეს ქართველები, ყველა თქვენს კისერზე როგორ უნდა იყოს?!. დიახ, მართლაც რომ გასაოცარია აფხაზური გულისხმიერება, დამპყრობელს უკანასკნელ ლუკმას უწილადებდით! ბარაქალა! ჩვენ კი, იმპერიალისტები, სიკეთის წილ ბოროტებას გიზღავთ, არ გაძლევთ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, სირცხვილი ჩვენ!

ქალბატონი შაყრილი წერს, ზვიად გამსახურდია დე გოლი არ არის, აფხაზეთი ალჟირივით გათავისუფლოსო... ვაჰ, ახლა მივხვდი, თქვენ ეტყობა თავის დროზე მართლა აფრიკაში ცხოვრობდით, მერე ქართველმა მტაცებლებმა აფხაზეთის ტერიტორია აფრიკის კონტინენტს ჩამოგლიჯეს, ბუქსირით შემოაცურეს შავ ზღვაში და საქართველოს მიაბეს. აკი ზანგების სოფელიცა გაქვთ აფხაზეთში!

მოკლედ... საკმარისია. „ნოუ კომენთს", როგორც იტყვიან იქაური იმპერიალისტები... მართლაც, რაღა გვეთქმის?! დემოკრატია საიმედო ხელშია — ჭალიძე შეყრია შაყრილს...

**ირაკლი ლომოური**

# უცხოეთის პრესა შიდა ქართლის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო მიუთითებს გორბაჩოვს „ომის გამოცხადების" საშიშროებაზე

საქართველოს რესპუბლიკა დაადგა მოსკოვთან შესაძლო სისხლიანი შეტაკების გზას, გუშინ, მან უარყო პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანება და გააფრთხილა მოსკოვი, რომ ბრძანების ძალით გატარების მცდელობა იქნება აღქმული როგორც საქართველოსთან ომის გამოცხადება.

პარლამენტმა, სადაც ეროვნული ძალები ჭარბობს, მიიღო ახალი რეზოლუცია. რეზოლუციაში დაგმობილია ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს გორბაჩოვის ულტიმატუმის საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებას. მოსკოვი მოითხოვს საქართველოს მილიციის და ყველა არაფორმალური შეიარაღებული გაერთიანების გამოყვანას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან.

ამ ნაბიჯმა სამხრეთის ეს რესპუბლიკა, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძალადობისა და კონფლიქტის კერად არის გადაქცეული, ჩააყენა გორბაჩოვის აქტიურ მოწინააღმდეგეთა შორის. თუმცა მდგომარეობა მანამდეც დაძაბული იყო, სანამ საბჭოთა სადესანტო ჯარები იქ განლაგდებოდნენ, რათა უზრუნველეყოთ პრეზიდენტის მითითების განხორციელება საქართველოში.

მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები მოეწყო საქართველოში პრეზიდენტის ბრძანებულების წინააღმდეგ. დემონსტრანტებმა დაიკავეს როგორც თბილისის, ასევე პატარა ქალაქ გორის ქუჩები, რათა მოსკოვის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტი გამოეხატათ.

გაზეთ „იზვესტიას" ცნობით ამ დემონსტრაციებში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე ოსი ეროვნების მოქალაქეები.

საქართველოსთან ურთიერთობის დაძაბვის პოლიტიკა სრულად შეესაბამება საბჭოთა თავდაცვის სამინისტროს მცდელობას თავისი ზეგავლენა განახორციელოს შვიდ სეპარატისტულ რესპუბლიკაში იმ საბაბით, რომ ცხოვრებაში ამკვიდრებს პრეზიდენტის ბრძანებულებას.

პრესცენტრის თავმჯდომარემ გენერალმა ვალერი მანილოვმა უარყო, რომ ეს ნაბიჯი აუცილებლად გულისხმობს დამატებითი ჯარების გაგზავნას ამ რესპუბლიკებში. „მე არაფერი ვიცი საბჭოთა მთავრობის რაიმე გადაწყვეტილების შესახებ, გაიგზავნოს დამატებითი ძალები მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთში, უკრაინასა და ბალტიისპირეთში". ასეთი გადაწყვეტილება უბრალოდ არ არსებობს, უთხრა მან საკავშირო სატელეგრაფო სააგენტოს.

„ფაინენშლ თაიმს"

10.01.91

## საქართველოს გამოჰყავს ჯარები სადავო ტერიტორიიდან

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან გამოყვანილია მილიციის ყველა დამატებითი ნაწილი იმისათვის, რომ დამთავრდეს სამკვირიანი სისხლიანი ბრძოლა ქართულ მილიციასა და ადგილობრივ ოს ნაციონალისტებს შორის. რეგიონში რჩება ქართული მილიციის უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც აუცილებელია პირველ ეტაპზე ცხინვალში წესრიგის დასამყარებლად, თქვა ბატონმა ვლადიმერ გოგოლაშვილმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა. დღეიდან ქ დარჩენილი ქართული მილიცია ადგილობრივ საბჭოთა ჯარებთან ერთად განახორციელებს რეგიონის პატრულირებას. ცხინვალში დარჩება აგრეთვე სსრკ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაახლოებით 500-კაციანი ჯარის ნაწილი.

ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული ხელმძღვანელობის ეს მნიშვნელოვანი დათმობა მიმართულია ადგილობრივი კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომელსაც 5 იანვრიდან დღემდე 20 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა ქუჩაში გამართულ ბრძოლებში.

ერთობლივი პატრულირება აუცილებელია ურთიერთნდობის აღსადგენად ქართველებსა და ოსებს შორის. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არმია არ დაარღვევს ნეიტრალიტეტის პირობას, განაცხადა ბატონმა გოგოლაშვილმა.

ქართული შენაერთების გამოყვანას არაფერი აქვს საერთო პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულებასთან, დასძინა ბატონმა ვლადიმერმა, რომელშიც მიხეილ გორბაჩოვი მოუწოდებს ყველა შეიარაღებულ ძალას განიარაღებისა და დაშლისაკენ.

შეიარაღებული ნაწილების გამოყვანა ასევე არ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის ახლახან მიღებულ შეთანხმებასთან, რომელიც ერთობლივ პატრულირებას ითვალისწინებს.

შეთანხმების თანახმად ოსმა ნაციონალისტებმა ჩააბარეს იარაღი, რომელიც ქართულ მილიციაზე თავდასხმისას გაიტაცეს კონფლიქტის პირველ დღეებში.

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ექსტრემისტები კვლავაც ფარულად არიან შეიარაღებულნი, დაამატა ბატონმა გოგოლაშვილმა. ბატონმა დილარ ხაბულიანმა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მისი რწმენით იარაღი, რომლითაც დღეს ოსები სარგებლობენ, ადრე წითელ არმიას ეკუთვნოდა.

გასულ შაბათს დაიწყო ათასზე მეტი ქართველი მილიციელის გამოყვანა რეგიონიდან. ეს არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით გამართული მოლაპარაკებების პირდაპირი შედეგი, რომელიც თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა და რომელშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მონაწილეობდნენ ოსი ლიდერები და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს პარლამენტი, რომელმაც გასულ თვეს ერთხმად დაგმო სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების მცდელობა, აპირებს შეკრიბოს, რათა განიხილოს მოსკოვიდან მოსული ახალი ბრძანებულება, დიდ ქალაქებში წითელი არმიის ნაწილებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების ერთობლივი პატრულირების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძანებულების მიღება შეიძლება ერთადერთი რეალური გარანტი იყოს სადავო რეგიონში კონფლიქტის ჩაწყნარებისა, მოსალოდნელია რომ, ქართველმა დეპუტატებმა დაგმონ საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა რეგულარული არმიის ჩაყენების მცდელობა კრემლის მხრიდან.

„ფაინენშლ თაიმს"

23.01.91.

## საქართველოს გაფრთხილება დაუმორჩილებლობის შესახებ

რეიტერი იტყობინება, რომ ადგილობრივი ჟურნალისტების გუშინდელი ცნობით, ელექტროენერგიითა და საწვავით მომარაგების შემცირებამ აიძულა საქართველოს მთავრობა დროებით შეეჩერებინა რიგი ქარხნების მუშაობა, რკინიგზის სამსახურის დატვირთვა და ტელევიზიის გადაცემები.

ჟურნალისტები აცხადებენ, რომ მომხმარებლები ორშაბათიდან დღეში ორი საათით ნაკლებ ელექტროენერგიას მიიღებენ. რესპუბლიკის ეროვნულმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თვის ბოლომდე დახუროს ქარხნების უმეტესი ნაწილი, რომლებიც მანქანა-დანადგარებსა და ფართო მოხმარების საქონელს აწარმოებს.

ახლად არჩეული ეროვნული პარლამენტის თავმჯდომარის, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას სიტყვით, საქართველოს რესპუბლიკა არ აპირებს თავისი პოლიტიკის შეცვლას კრემლის მიმართ და ემზადება დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ყოფილმა პოლიტიკურმა დისიდენტმა ამ კვირაში მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მიუხედავად ბალტიისპირეთის მოვლენების მაგვარი აქციების გამეორების საშიშროებისა, საქართველო არ დაემორჩილება პრეზიდენტ გორბაჩოვს, რადგან გამსახურდიას თქმით, მისი რესპუბლიკის კანონები საკავშირო კანონების წინაშე უპირატესობით სარგებლობს საქართველოს ტერიტორიაზე, „საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ჩვენ გვაქვს უფლება არ დავემორჩილოთ სხვა სახელმწიფოს პრეზიდენტის ბრძანებებს".

კონფრონტაციის უშუალო მიზეზია პრეზიდენტ გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სამხედრო ძალების — როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენაერთების გამოყვანას სამხრეთ ოსეთის სადავო ტერიტორიიდან და მათ მაგივრად შინაგან საქმეთა საკავშირო სამინისტროს შეიარაღებული ძალების ნაწილების განლაგებას. შეიარაღებულ შეტაკებებში ოს სეპარატისტთა და ქართულ მილიციას შორის ბოლო სამი კვირის მანძილზე თექვსმეტი ადამიანი დაიღუპა.

ბ-ნ ზვიად გამსახურდიას განცხადებით, ერთი თვის განმავლობაში 12000-ანი სამხედრო შენაერთი, რომელსაც „საკმაო იარაღი აქვს, რათა ნამდვილი არმია გახდეს", საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე არსებულ 20 000 ჯარს დაემატება. მიუხედავად საბჭოთა კავშირის გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ მიხეილ მოისეევის გაფრთხილებისა, რომ მოსკოვი ძალას გამოიყენებს იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკები უარს იტყვიან სამხედრო სამსახურში გაწვევაზე, საქართველოს გადაწყვეტილი აქვს აღარ შეავსოს საბჭოთა არმიის რიგები წვევამდელებით. „ერთადერთი, რაც უნდა დაწესდეს, ეს არის სამხედრო ვალდებულების მოხდა ეროვნულ გვარდიაში", განმარტა ბ-ნმა გამსახურდიამ. რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ (იგივე პარლამენტმა), პირველივე სესიაზე ნოემბრის არჩევნების შემდეგ გააუქმა საბჭოთა არმიაში სავალდებულო სამსახური.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის განცხადებით საქართველოდან სამხედრო კომისარიატებში წვევამდელთა მხოლოდ 10 პროცენტი გამოცხადდა. გამსახურდიამ კი განაცხადა, რომ საქართველოში არც ერთი ქართველი არ გამოცხადებულა გაწვევაზე. ბ-ნი გამსახურდია იმედოვნებს, რომ ეროვნული გვარდია დაიცავს საქართველოს ინტერესებს ნებისმიერი, გარე თუ შინა მტრისაგან. მას მიაჩნია, რომ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველო ფაქტობრივად რუსეთის არმიას ებრძვის. მოსკოვი „ოსეთის მოკავშირეა და ამიტომაც მივიღეთ ბრძანება ჩვენი შენაერთების დაშლის შესახებ", განაცხადა მან. „კრემლი გამიზნულად ცდილობს ანარქიის დამყარებას, რათა შემდგომ შეძლოს საქართველოში თავისი მმართველობის შემოღება. ჩვენ გვაქვს საბუთები, რომ ოსები იარაღს წითელი არმიის ადგილობრივი ჯარებისაგან იღებენ".

სამხრეთ ოსეთი, როგორც ავტონომიური ოლქი, საქართველოს ტერიტორიაზე 1921 წელს შეიქმნა, მცირე ხანს არსებული საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ. ახლახან ამ ოლქმა გააუქმა საკუთარი ავტონომია, რათა გამოეცხადებინა თავი საქართველოსგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და შეერთებოდა ჩრდილოეთ ოსეთს, რომელიც კავკასიონის ქედის მეორე მხარეს მდებარეობს. საქართველოს პარლამენტმა გასულ თვეში სამხრეთ ოსეთის ეს ნაბიჯი კანონგარეშედ გამოაცხადა. პრეზიდენტმა გორბაჩოვმა კი თავისი ბრძანებულებით საქართველოსა და ოსეთის ორივე საკანონმდებლო აქტი გააუქმა.

ახლა ოსეთი ბლოკირებულია. ქართული მილიციის უმეტესი ნაწილი იქ იმყოფება. მთელი რესპუბლიკა დაძაბულია. შეიარაღებული სამხედრო ფორმირებები თბილისის ქუჩებში თავისუფლად დადიან იარაღასხმულნი. „თუ ძალადობის გამოყენება ბალტიისპირეთში დასავლეთის რეაგირების გარეშე დარჩა, ჩვენზეც გადმოვლენ. მაგრამ აქ მათ უფრო გაუჭირდებათ, რადგან ჩვენ ერთიანნი ვართ", საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე შეშფოთებულია იმით, რომ სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომმა გაანელა დასავლეთის ინტერესი საბჭოთა კავშირის მიმართ: „კრემლი ფიქრობს, რომ მისი საქციელი დაუსჯელი დარჩება".

„ფაინენშლ თაიმს",

29.01.91.

# ფუძემორყეული იმპერიები წარსულსა და აწმყოში

### ურიგო არ იქნებოდა შეესწავლა კრემლსა და დასავლეთს, თუ რა ბედი ეწია ოსმალთა იმპერიას საუკუნის დასაწყისში.

საბჭოთა კავშირის საზღვრები, ბალტიის ზღვიდან პამირის მთიანეთამდე, ირღვევა. საბჭოთა კავშირმა შესაძლოა უახლოეს მომავალში არსებობა შეწყვიტოს. სავარაუდოა, რომ მის ადგილს დაიკავებს შედარებით მცირე, მაგრამ მაინც უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც უბრალოდ რუსეთი ერქმევა. რაც შეეხება საბჭოთა რესპუბლიკებს, ისინი შექმნიან ცალკეულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ასეთ ვითარებაში მსოფლიო დაკარგავს არა მხოლოდ პირველ კომუნისტურ სახელმწიფოს, არამედ უკანასკნელ უზარმაზარ მრავალეროვან იმპერიასაც.

საუკუნის დასაწყისში იმპერიულმა მმართველობამ ლონდონში, პარიზსა და ჰააგაში, გაითვალისწინა ხალხის მოთხოვნები და თავიანთ კოლონიებს სრული თავისუფლება უბოძა. როგორც ჩანს, დღეს ჯერი მოსკოვზეა. ინგლისის, საფრანგეთისა და ჰოლანდიისათვის, ალბათ, შედარებით იოლი იყო საკუთარი ტერიტორიიდან დაშორებული და მიმობნეული კოლონიების დათმობა, რომლის საპირისპიროდაც საბჭოთა იმპერია, მიუხედავად მისი უზარმაზარი მასშტაბებისა, მთლიანად ევრაზიის ტერიტორიაზეა მოქცეული. დასავლელი პოლიტოლოგებისა და ანალიტიკოსების დიდ დავას იწვევს საკითხი იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება იმ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელნიც ამჟამად ეროვნული თავისუფლებისთვის იბრძვიან. ამ საკითხის განხილვისას მოიხმობენ აწ უკვე გამქრალ თურქ-ოსმალთა იმპერიის ანალოგიას.

სახელწოდება ოსმალეთი ამ იმპერიის შემქმნელის ბელადის — ოსმალის სახელს უკავშირდება. ოსმალეთის იმპერია ძირითადად იმ ტერიტორიებს მოიცავდა, რომელთა დაპყრობას ასე ესწრაფვოდა კრემლი იოსებ სტალინის მეთაურობით II მსოფლიო ომის შემდეგ.

XVI საუკუნეში, სულთან სულეიმან ძლევამოსილის მეფობის ხანაში, ოსმალთა იმპერიამ თავისი აღმავლობისა და აყვავების მწვერვალს მიაღწია. ოსმალები ფლობდნენ დღევანდელი უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიებს. თურქეთის მფლობელობაში შედიოდა საბჭოთა კავშირის ნაწილი, კერძოდ, ყირიმის ნახევარკუნძული და კავკასია, მასში შემავალი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებითურთ.

ოსმალეთისა და საბჭოთა იმპერიების მსგავსება, მხოლოდ გეოგრაფიული იგივეობით არ შემოიფარგლება. დაახლოებით 300 წლის განმავლობაში თურქები მუდმივ კონფლიქტში იყვნენ ევროპის ძლიერ ქვეყნებთან. დაძაბულობას, ცივი ომის მსგავსად, ხელს უწყობდა, როგორც პოლიტიკურ შეხედულებათა, ასევე რელიგიური განსხვავებულობა. საბჭოთა კავშირის მსგავსად, რომელმაც მთელ რიგ ქვეყნებს თავს მოახვია კომუნისტური იდეოლოგია და მოახდინა მსოფლიო რევოლუცია, თურქ-ოსმალთა იმპერია დაუპირისპირდა ქრისტიანულ ევროპას მებრძოლი ისლამური იდეოლოგიით.

მეტიც, როგორც დღეს საბჭოთა კავშირი შეარყია არარუსი მოსახლეობის მღელვარებამ, ასევე თურქ-ოსმალთა იმპერიამ ვერ გაუძლო არათურქი მოსახლეობის მიერ წარმოებულ განმათავისუფლებელ ამბოხებებს. თავდაპირველად ოსმალთა ბატონობას XVIII საუკუნის 20-იან წლებში თავი დააღწიეს ბერძნებმა, მათთან ერთად იბრძოდა ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი ლორდ ბაირონი. უკანასკნელად კი არაბები აჯანყდნენ. არაბებმა პირველი მსოფლიო ომის დროს გაინთავისუფლეს თავი ლორენსის წინამძღოლობით, მაგრამ მალე ინგლისისა და საფრანგეთის მმართველობის ქვეშ მოექცნენ.

თურქეთის იმპერიის მსგავსად, საბჭოთა კავშირი ეკონომიკურად ჩამორჩენილია, რაც იწვევს ცენტრალური ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებას და აღვივებს იმპერიიდან გამოყოფის სურვილს. ტექნოლოგიური და სავაჭრო კავშირების დასამყარებლად რესპუბლიკები პარტნიორებს ქვეყნის გარეთ ეძებენ.

დასავლეთის ქვეყნები გაორებული განწყობით ეკიდებიან საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს. ერთის მხრივ, ისინი მხარს უჭერენ ბრძოლას დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ხოლო მეორეს მხრივ, მათ აფრთხობთ მოვლენათა განვითარების სისწრაფე და სიღრმე. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ოსმალთა იმპერიასთან პარალელის გავლება: მე-19 საუკუნეშიც არსებობდა ე. წ. აღმოსავლეთის პრობლემა. განიხილებოდა, ერთის მხრივ, ოსმალთა იმპერიისგან მოსალოდნელი საფრთხე, ხოლო მეორეს მხრივ, ამ იმპერიის რღვევის შესაძლებლობა. მიმდინარეობდა დიპლომატიური მანევრირება, აგენტურის გამოყენება, მაგრამ ამასთანავე დროდადრო ადგილი ჰქონდა სისხლისღვრასაც. 1854 წელს ინგლისი და საფრანგეთი ერთიანი ძალით წინ აღუდგა რუსეთის მცდელობას მიეტაცებინა თურქეთის ევროპული პროვინციები, რასაც შედეგად ყირიმის ომი მოჰყვა. ამ ომმა მსოფლიოს მისცა ფლორენს ნაითინგეილი, მსუბუქი კავალერიის ბრიგადის გმირობა და თანამედროვეობის პირველი სამხედრო კორესპონდენტები.

გერმანიის მეთაური, ბისმარკი, შიშობდა, რომ ამგვარი გართულების შედეგებს ცუდი გავლენა არ მოეხდინა მის ქვეყანაზე. მან განაცხადა, „აღმოსავლეთის საკითხი პომერანელი გრენადერის ფრჩხილადაც არ ღირს"-ო.

საბოლოო ჯამში ოსმალთა იმპერიის დაცემა გერმანიასა და დანარჩენ ევროპას გაცილებით ძვირად დაუჯდა. 1914 წლის ივნისში, ბალკანეთში ოსმალების ნაცვლად ავსტრიელი ჰაბსბურგების მოსვლით განრისხებულმა სერბიელმა ნაციონალისტმა სარაევოში მოკლა ავსტრიის ერცჰერცოგი — ფრენსის ფერდინანდი, რასაც მოჰყვა I მსოფლიო ომი მანამდე უპრეცედენტო ნგრევითა და მსხვერპლით.

საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესში დასავლეთის აქტიური მონაწილეობა ვაითუ საბედისწერო აღმოჩნდეს ამ ქვეყნებისთვის, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ამერიკისა და მისი მოკავშირეების ჩათრევა კრემლსა და თავისუფლებისთვის მებრძოლ რესპუბლიკათა შორის მიმდინარე ომში. ნაწილობრივ ეს არის მიზეზი დასავლეთის განზე დგომის პოლიტიკისა. როდესაც ამა წლის დასაწყისში მოსკოვმა ლიტვას შეუტია, აშშ-სა და მის ევროპელ პარტნიორებს სუნთქვა შეეკრათ. ისინი პრინციპში ემხრობიან ერთა თვითგამორკვევას სსრ კავშირში, ოღონდ თავის მხრივ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე და მინიმალური რისკით.

თავისი არსებობის ბოლო საუკუნეში თურქ-ოსმალთა იმპერია იმდენად დასუსტდა, რომ მას „ევროპის დავრდომილ შვილად" იხსენიებდნენ. არც რუსეთის იმპერიაა დღეს უკეთეს მდგომარეობაში. ევროპა ვერ ივიწყებს, რომ სსრ კავშირის განკარგულებაში ჯერ კიდევ არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი არმია, რომლის აღჭურვილობაში 26000 ბირთვული იარაღი შედის.

არსებობს რეალური შიში, რომ ამ იმპერიის დაცემა თავისი მასშტაბურობით გადაფარავს I მსოფლიო ომის ყველა საშინელებას.

მიხაელ მანდელბაუმი,

„ტაიმი", 1990.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება

# ინტერვიუ ბატონ დევიდ როუსონთან



**ბატონი დევიდ როუსონი** ინგლისური და ევროპული ლიტერატურის სპეციალისტია. მესამე წელია, რაც იგი ინგლისურ ენას ასწავლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური განყოფილების სტუდენტებს. როდესაც ბატონ დევიდს ვთხოვეთ, მოეთხრო ბრიტანეთის განათლების სისტემის შესახებ, მან იმთავითვე შენიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის განათლების სისტემა არ არის უზადო და რომ, როგორც საშუალო სკოლების, ასევე უნივერსიტეტების პედაგოგები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას სისტემაში არსებული ხარვეზების გამო. ეს გამონათქვამი ბატონ დევიდს თავმდაბლობაში ჩამოვართვათ, ჩვენის მხრივ კი დავძენთ, რომ დღეს, როდესაც ყველანი ვფიქრობთ ჩვენი განათლების სისტემის რეფორმის შესახებ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ბრიტანეთის განათლების სისტემის ზოგიერთი ასპექტის გაცნობა.

დ. რ. ბრიტანეთის განათლების სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბოლო ხანებში. ამ რეფორმამდე ჩვენში სკოლები სრულიად დამოუკიდებელი, ავტონომიური იყო, ყოველი სკოლა, ყოველი საგნის მასწავლებელი თვითონ ადგენდა სასწავლო პროგრამებს. დაახლოებით 2-3 წლის წინ კონსერვატორთა პარტიამ შემოიღო ეროვნული პროგრამა, რომელშიც უკვე ცალსახადაა მითითებული, რა საგნები უნდა ისწავლებოდეს სკოლებში და რა საკითხები უნდა გაშუქდეს ამა თუ იმ საგნის ფარგლებში. და მაინც, ეროვნული პროგრამა არ არის მეტისმეტად მკაცრი, იგი მაინც იძლევა გარკვეული არჩევანის საშუალებას. ასე მაგალითად, თუ ინგლისის ისტორიის კურსი მოიცავს საკითხს — „ანგლო-საქსური სამყარო", პედაგოგს შეუძლია შეარჩიოს რომელიმე კერძო პრობლემა, ვთქვათ „ანგლო-საქსური სამართალი", ან „ანგლო-საქსური სოფელი", ან „ანგლო-საქსური ყოფა" და ა. შ. და იგი განიხილოს თავის მოსწავლეებთან. ეროვნულ პროგრამაში აგრეთვე მითითებულია ცოდნის ის მინიმუმი, რომელიც ყოველ საგანში უნდა ჰქონდეს მოსწავლეს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. ზემოთ ისტორია ვახსენე და მინდა შევეხო იმ დისკუსიას, რომელიც ინგლისში გაიმართა ამას წინათ ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით. მთავრობის მიერ შემოთავაზებული პროგრამით ისტორიის სწავლებისას ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო ფაქტებისა და თარიღების შესწავლაზე. ისტორიის პედაგოგებმა ეს მეთოდი მოძველებულად მიიჩნიეს, ვინაიდან მათ ამას წინათ თვითონ შემოიღეს ისტორიის სწავლების ახალი, პროგრესული მეთოდები. კერძოდ, მოსწავლეების ტარება მუზეუმებში, არქეოლოგიური გათხრების ადგილებზე, სადაც ისტორია ცოცხლდება და სადაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება თვით იკვლიონ რომელიმე მათთვის საინტერესო საკითხი. მაშასადამე, ახალი მეთოდი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სოციალურ ისტორიას და არა ბრძოლებს, მეფეების ცხოვრებას, თარიღებს და ამგვარი სახის ისტორიას. ბოლოს, მხარეები დაზავდნენ და ამჟამად, ისტორიის სწავლებისას ორივე მხარის მოთხოვნები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია.

**— რომელ ასაკში იწყებენ ინგლისელი ბავშვები სკოლაში სიარულს და რა საგნებს სწავლობენ?**

— ინგლისელი ბავშვები სკოლაში 5 წლის ასაკში მიდიან. 5-დან 7 წლამდე ბავშვები სწავლობენ ე. წ. მცირეწლოვან ბავშვთა სკოლებში (infant schools). აქ ისინი სწავლობენ კითხვას, წერას, ანგარიშს, მაგრამ სწავლობენ მხოლოდ თამაშის გზით. 7-დან 11 წლამდე ბავშვები სწავლას აგრძელებენ დაწყებითი სკოლის მეორე ეტაპზე, რომელსაც ეწოდება junior school ამ ეტაპზე მოსწავლეები სწავლობენ შემდეგ საგნებს: ინგლისური, ე. წ. მეცნიერება (ბიოლოგია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა), მუსიკა, სპორტი, ფრანგული, ხელოვნება (ხატვა, ძერწვა და სხვ.), რელიგია (ბიბლიური მოთხრობები).

დიდი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის ფიზიკურ წვრთნას. სკოლებში კვირაში ერთხელ ორი საათი ეთმობა სპორტულ ვარჯიშებს, ხოლო მეორედ ორი საათი სპორტულ თამაშობებს. სპორტული თამაშობის სახეობა ყოველთვიურად იცვლება. ბევრ სკოლას აქვს საცურაო აუზი, სპორტული დარბაზები აღჭურვილია საშხაპეებით. გარდა ამისა, არის შრომის გაკვეთილები (დურგლობა, ხელგარჯილობა). სხვათაშორის, ახლა ბიჭებსაც შეიძლება უტარდებოდეთ კულინარიის გაკვეთილები გოგონებთან ერთად.

**— დევიდ, არის თუ არა სკოლაში სავალდებულო და არჩევითი საგნები?**

— მე მხოლოდ ჩემს სკოლაზე ვისაუბრებ და ცხადია, ეს არ იქნება განზოგადებული საუბარი ინგლისურ სკოლაზე საერთოდ, რადგან მე გიმნაზიაში (Grammar School) დავდიოდი. აქ კი როგორც წესი, კლასიკურ განათლებას იძლევიან და მოსწავლეები თერთმეტი წლის ასაკში გამოცდას აბარებენ. ახლა ბავშვების დიდი უმრავლესობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დადის.

სკოლაში ლათინურს ვსწავლობდი და ეს აუცილებელი საგანი იყო. ზოგი მოსწავლე ბერძნულს სწავლობდა, თუმცა ეს უკანასკნელი არჩევით იყო. არ გვასწავლიდნენ დურგლობას და საერთოდ არ გვქონდა ამგვარი საგნები, იმიტომ, რომ ეს ძალიან აკადემიური სკოლა იყო და მოსწავლეთა უმრავლესობას უნივერსიტეტებისთვის გვწვრთნიდნენ. სხვათა შორის, თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, მე ჩემი სკოლის დამამთავრებელი გამოცდები ერთი წლით ადრე, 16 წლის ასაკში ჩავაბარე. ეს იმდენად ჩემი პირადი დამსახურება არ იყო, რამდენადაც სწავლების ხარისხი იყო უაღრესად მაღალი, სკოლა იყო ძალიან კარგი, სწავლების პროცესი მაქსიმალურად დატვირთული. ახლა, რამდენადაც ვიცი, ლათინურს აღარ ასწავლიან. საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ დიდ ბრიტანეთში განათლება ტექნიკური საგნებისკენ გადაიხარა, რადგან ნათელია მათი გამოყენების აუცილებლობა დღეს. შესაბამისად შემცირდა ისეთი საგნების სწავლების დაფინანსება, როგორიც არის, მაგალითად, ანტიკური ენები და ლიტერატურა, ფილოსოფია. თუ ინგლისურ სკოლაში სწავლების პროცესს ეტაპობრივად წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ ყველა ეტაპი რაღაც ნიშნით ხასიათდება და აუცილებლად გულისხმობს საგანთა გარკვეულ რაოდენობასაც. 14-დან 16 წლამდე მოსწავლეები აუცილებლად სწავლობენ შემდეგ საგნებს: ინგლისურ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას და რომელიმე ტექნიკურ საგანს, რომელსაც „მეცნიერებას" ეძახიან. მოსწავლეებს აქვთ უფლება ინტერესის, შესაძლებლობების მიხედვით აირჩიონ მეცნიერების საგანი.

**— ე. ი. მოსწავლის სურვილს ითვალისწინებენ?**

— რა თქმა უნდა. თუკი მოსწავლეს, ვთქვათ, ქიმიის სწავლის უფრო დიდი სურვილი აქვს, ვიდრე ფიზიკისა და ნიჭსაც ავლენს, წინ არავინ დაუდგება. სკოლის ადმინისტრაცია შეთანხმდება ხოლმე მეცნიერების ამა თუ იმ საგნის უპირატესობით სწავლებაზე, ვთქვათ, აირჩევენ ფიზიკას ყველამ იცის, რომ იმ სკოლაში ფიზიკას სწავლობენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თუკი რომელიმე ბავშვი ბიოლოგიის შესწავლას მოინდომებს, მას წინააღმდეგობას გაუწევენ.

**— დევიდ, ვიცით, რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და გონებრივი მონაცემების მიხედვით ჰყოფენ.**

— რა თქმა უნდა. 14 წლის ასაკში მოსწავლეები მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად წყვეტენ თუ რომელ საგნებში მოემზადებიან ზოგადი განათლების მოწმობის მისაღებად (GCSE), რომლისთვისაც გამოცდებს 16 წლის ასაკში ჩააბარებენ.

**— გამოცდისთვის მზადება ერთი ან ორი კვირით ადრე საგნის ზუთხვას გულისხმობს?**

— არამც და არამც. გამოცდისთვის მზადება ერთი ან ორი წელი ინტენსიური შრომაა და სწორედ იმიტომ, რომ ეს ძალიან სერიოზული პროცესია, ხდება ბავშვის სურვილისა და შესაძლებლობების ყოველგვარი გათვალისწინება. აქედან გამომდინარე, ზოგი ბავშვი მხოლოდ სამ აუცილებელ საგანს სწავლობს (მშობლიური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, მეცნიერება), ზოგი რვა ან ცხრა საგანს. მოწმობის მიღების შემდეგ 16 წლის ასაკში ბავშვების ნაწილი სურვილის მიხედვით სკოლას ტოვებს. სხვათა შორის, თუკი ამ გამოცდების შედეგებით კმაყოფილი არ არის, გამოცდის განმეორებით ჩაბარების შესაძლებლობა ეძლევა ყველას ერთი წლის შემდეგ. ბავშვების ნაწილი სკოლაში რჩება და ე. წ. უმაღლესი (advanced level, ან მოკლედ A-level) დონის გამოცდებისთვის იწყებს მზადებას. უმრავლესობა მხოლოდ სამ ან მაქსიმუმ ოთხ საგანს ირჩევს. საერთოდ, იმისათვის, რომ ამ დონეზე მოხდეს მოწმობის გაცემა, ყველა გამოცდის ჩაბარება არ არის საჭირო. ერთი საგნის ჩაბარებაც საკმარისია. მაგალითად, შეიძლება გაიარო ერთი ესპანური და ის ჩააბარო. უმაღლესი (A) დონის დაუფლება გაცილებით უფრო სპეციფიკური ცოდნის გამომჟღავნებას გულისხმობს და აქ საკუთრივ გამოცდაც უნივერსიტეტის პირველი კურსის დამამთავრებელი გამოცდის ტოლფასია, მეტად სერიოზული ხასიათი აქვს. აქ განსაკუთრებული უნარი და მიდრეკილებები უნდა გამოამჟღავნო.

**— იქნებ ორიოდე სიტყვა თვით გამოცდებზეც მოგვახსენოთ.**

— გამოცდების უმრავლესობა წერითი ხასიათისაა. ენის გამოცდები შეიძლება შეიცავდეს ზეპირი გამოცდის ელემენტებსაც, როგორიც არის, მაგალითად, უცხო ტექსტის წაკითხვა და დამუშავება. მაგრამ, საერთოდ, წერას ექცევა დიდი ყურადღება. სხვათა შორის, გამოცდისას ერთი გადალაპარაკებისთვის შეიძლება გამოცდა დატოვო. მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში მოსწავლეები განუწყვეტლივ წერენ თხზულებებს (მომცრო ზომის „მეცნიერულ გამოკვლევებს") და ერთგვარად იწაფებიან წერაში.

**— როგორია მისაღები გამოცდები დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში?**

— რაკი სკოლაში ასე გამკაცრებულია ე. წ. უმაღლესი (A) დონის გამოცდები, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება შედარებით გაადვილებულია, იმიტომ, რომ გამოცდების ნახევარი სიმძიმე სკოლამ იტვირთა. იმისთვის, რომ უნივერსიტეტის სტუდენტი გახდეს, ჩვეულებრივ, საჭიროა რომ აბიტურიენტს ჰქონდეს ჩაბარებული სამი უმაღლესი დონის საგანი და გასაუბრებაზე თავი გამოიჩინოს ცოდნით. დიდ ბრიტანეთში 60-მდე უნივერსიტეტია. უნივერსიტეტებში არ არის მისაღები გამოცდები. ამ მხრივ გამონაკლისია ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტები, სადაც ყოველთვის დიდი კონკურსია. საუნივერსიტეტო განათლების მიღების მსურველი ახალგაზრდა ავსებს სპეციალურ ბლანკს, რომელზეც უთითებს ხუთ სხვადასხვა უნივერსიტეტს. შემდეგ აღნიშნული უნივერსიტეტები მას იწვევენ გასაუბრებაზე. საუბრები იმართება A-დონის გამოცდების ჩაბარებამდე, რომლის მიზანია არა მარტო იმის გამოვლენა, თუ რა ცოდნა შეიძინა ახალგაზრდამ სკოლაში, არამედ იმის დადგენაც, თუ რამდენად შესწევს მას უნარი ისწავლოს უნივერსიტეტში. თუ ახალგაზრდა სკოლაში 2 უმაღლეს შეფასებას მიიღებს A-დონის გამოცდებში, მას შეუძლია შევიდეს დიდი ბრიტანეთის ნებისმიერ უნივერსიტეტში.



OXFORD THE BODLEIAN LIBRARY

**— დატვირთულნი არიან თუ არა სტუდენტები საგნებით უნივერსიტეტებში?**

— უნივერსიტეტები ინგლისში სრულიად დამოუკიდებელნი არიან. სწავლა სამწლიანია. ყოველ კურსზე არის რამდენიმე სავალდებულო საგანი და უამრავი არჩევითი კურსი, რომელთაგან სტუდენტი თვით ირჩევს მისთვის საინტერესო საგანს.

მე ვორიკის უნივერსიტეტში ვსწავლობდი ინგლისურ და ევროპულ ლიტერატურას. I კურსზე სავალდებულო იყო შემდეგი საგნები: შუასაუკუნეების ინგლისური ლიტერატურა, ევროპული ეპოსი, XX ს. ინგლისური ლიტერატურა, ფრანგული და ინგლისური ლიტერატურის შეპირისპირებითი ანალიზი.

II კურსი. ევროპული რომანი (სავალდებულო), ინგლისური რომანტიკული პოეზია (სავალდებულო), ფრანგული და ინგლისური სიმბოლისტური პოეზია (არჩევითი), რენესანსის ეპოქის ინგლისური პროზა (არჩევითი).

III კურსი. ევროპული თეატრი (სავალდებულო), შექსპირი (სავალდებულო), რენესანსის ეპოქის ინგლისური პოეზია (სავალდებულო), თანამედროვე ბრიტანული თეატრი (არჩევითი).

ყოველ სემესტრში სტუდენტი წერს ოთხ ესსეს. თითოეული ესსე მოიცავს 10 ხელნაწერ გვერდს. წლის ბოლოს ყოველ საგანში (როგორც სავალდებულოში, ასევე არჩევითში) იმართება გამოცდები. გამოცდები წერითია. სტუდენტს ეძლევა რამდენიმე საკითხი, რომელთაგან იგი ირჩევს სამს და წერს სამ ესსეს მოცემულ თემებზე. გამოცდის მიზანი არ არის მხოლოდ სტუდენტის აზროვნების, ფაქტობრივი ცოდნის განზოგადების უნარისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების შემოწმება. მაგალითად, ერთ-ერთი საკითხი ფსიქოლოგიის კოლეჯის სტუდენტებისათვის ასეთი იყო: „ფროიდია უფრო იუნგიზმი, თუ იუნგი ფროიდიზმი".

**— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ ინგლისში სწავლების მთელი პროცესი როგორც სკოლაში, ასევე უნივერსიტეტში საუკეთესოდ არის ორგანიზებული, რათა მოსწავლის შესაძლებლობა სრულად გამოავლინონ, მაგრამ რაც მთავარია, თვითონ მოსწავლისაგანაც სერიოზულ შრომას, პასუხისმგებლობას და განსაკუთრებულ სიბეჯითეს მოითხოვს. ამის უნარი კი, რასა თქმა უნდა, ყველას არ შესწევს. ამიტომაც ე. წ. უმაღლეს განათლებას იღებენ მხოლოდ რჩეულნი. ასეთთა რიცხვი კი, ბუნებრივია, დიდი ვერ იქნება.**

ესაუბრნენ
თინათინ მარგალიტაძე და
ნანა ხიზანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს, როდესაც მოსახლეობა სერიოზულად შეუშფოთებია მოსალოდნელ უმუშევრობას, დემოგრაფიული და სოციალური პრობლემები გადასაჭრელია, საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის შეტყობინება, რომ საქართველოში სულ ახლახანს შეიქმნა „შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო“. მისი მინისტრი ბ-ნი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ აქამდე უზენაესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ, ჰუმანიტარული და სოციალური დაცვის, დემოგრაფიისა და დასახლების ქვეკომისიების თავმჯდომარე. ალბათ, ისიც საინტერესოა, რომ არც საბჭოთა კავშირში და არც მსოფლიოში ასეთი სახელწოდების სამინისტრო არ არსებობს, ეს არის სამინისტრო, მკვეთრად გამოხატული ეროვნული ფუნქციით, საქართველოს სახელმწიფოებრივი ფუნქციით და იგი ჯერჯერობით არცერთ სამინისტროთა მსოფლიო კატეგორიაში არ შედის.**

**ბუნებრივია, პრობლემაც ბევრია და ალბათ არც მათი გადაჭრაა იოლი. ჩვენმა კორესპონდენტმა, რამოდენიმე კითხვით მიმართა შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრს ბ-ნ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲡ.**

# ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲗ



**— ბ-ნო თამაზ, როგორ ჩამოყალიბდა თქვენი სამინისტრო და რა ფუნქციები ეკისრება მას?**

— მთავრობის სტრუქტურებში გათვალისწინებული იყო სამინისტროს ჩამოყალიბება მხოლოდ სახელწოდება ,გახლდათ სხვაგვარი „შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტრო“, იგი იქმნებოდა შრომისა და სოციალური საკითხების კომიტეტის ბაზაზე. საკითხი სამინისტროს დღევანდელი ფუნქციების შესახებ უზენაესი საბჭოს ქვეკომისიის მიერ იქნა აღძრული და „შრომისა და სოციალური საკითხების კომიტეტი“ — „შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ“ შეცვალა. პრობლემათა თავისებურება თვით სამინისტროს სახელწოდებაშია გამჟღავნებული. იყო კამათი ამ სახელის შესახებ. არსებობდა აზრი შეგვექმნა „სოციალური დაცვის სამინისტრო“ და მასში ყოფილიყო გაერთიანებული დემოგრაფიის, შრომისა და სხვა საკითხები. ის პრობლემები, რაც საქართველოს წინაშე დგას — მიგრაციის, შრომის, განსაკუთრებით დემოგრაფიის სფეროში, დღეს უნდა იქნას აყვანილი სახელმწიფოებრივ დონეზე, ამიტომაც მივიღეთ საბოლოოდ ასეთი სახელწოდება — „დემოგრაფიის, შრომისა და სოციაალური დაცვის სამინისტრო“.

ყველაზე სერიოზული პრობლემა დღეს, ალბათ, უმუშევრობაა, იგი უკვე დაწყებულია. ჩვენ ვიცით, რომ განვლილი პერიოდის პრინციპის მიხედვით უმუშევრობა საბჭოთა კავშირში არ არსებობდა, დღეს კი სსრკ-ში გამოვიდა „შრომის ძირითადი საფუძვლები“ და აემოღებულია უმუშევრობის სტატუსი, ე. ი. საბჭოთა კავშირმა, ჩვენგან დამოუკიდებლად, აღიარა უმუშევრობის არსებობა. ამით საბჭოთა კავშირმა თვით უარყო ის საფუძვლები, რითაც ჩამოყალიბდა. ამიტომაც ჩვენ, როგორც გამოუცდელი ქვეყანა, მითუმეტეს საქართველო, დღეს პირველ ნაბიჯებს ვდგამთ უმუშევრობის კატეგორიის შემოღებისთვის. ამას დიდი პრობლემები ახლავს, უნდა მოხდეს დაფიქსირება უმუშევრისა, უმუშევრობისა, შემდეგ მისი გადაკვალიფიცირება სხვა სპეციალობაზე. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ფულადი ფონდი, რათა მისცეს უმუშევარს დრო, გადაწყვიტოს შეიცვალოს თუ არა კვალიფიკაცია და ამ პერიოდში ფულადი დახმარება გაუწიოს მას. ხოლო თუ ამა თუ იმ პიროვნებამ არ მოინდომა კვალიფიკაციის შეცვლა, არ გამოჩნდა მისთვის სასურველი და შესაბამისი დასაქმების ადგილი, სახელმწიფოც შეუწყვეტს დახმარებას.

სირთულე იმაშია, რომ სახელმწიფომ უნდა დაადგინოს მოთხოვნილებანი პროფესიათა კატეგორიებზე, სად შეიძლება გადავიდეს ესა თუ ის პროფესიის ადამიანი. უზენაეს საბჭოში მზადდება კანონი „დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ“, იგი, ალბათ, უახლოეს სესიაზე იქნება გატანილი. ეს იქნება საფუძველი, რომელსაც ახლავს საკმაოდ რთული მექანიზმი, ვინაიდან სამინისტრომ, გარდა იმისა, რომ უნდა დააფიქსიროს თუ სადმე რაიმე პროფესია გამოთავისუფლდა, უნდა იფიქროს ამ პროფესიათა გადამზადებაზე და ა. შ. ჩვენი პროგნოზით ეს უახლოეს დროშია გასაკეთებელი.

**— ბ-ნო თამაზ, არის თუ არა უფლებამოსილი თქვენი სამინისტრო, თბილისში მომუშავე ადამიანი, სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში, რაიონში გააგზავნოს სამუშაოდ?**

— რა თქმა უნდა, ეს ასეც იქნება. პროფესიათა ზოგ კატეგორიაში გვაქვს სიჭარბე, ზოგან კი სიმცირე. როცა დაფიქსირდება, რომ თბილისში რომელიმე კატეგორია მოხვდა უმუშევრობაში პროფესიული სიჭარბის გამო, დასაქმების სფერო მთელი საქართველოა და მას უკვე ეძლევა წინადადება, ვთქვათ, ორი-სამი ვარიანტიდან აირჩიოს ერთ-ერთი. თუკი ის უარს იტყვის, მოიხსნება უმუშევრობიდან საერთოდ. ეს არის ზოგადი პრინციპი, რომელიც შემდგომ ჩამოყალიბდება და დაიხვეწება.

**— ბ-ნო თამაზ, რას გვეტყვით სოციალური დაცვის შესახებ?**

— რაც შეეხება სოციალურ საკითხს, „მრგვალი მაგიდის“ პლატფორმით ჩვენ ვაცხადებთ, რომ სახელმწიფო საკუთრება უნდა შემცირდეს. თუ აქამდე იგი იყო 100% და კერძო საკუთრება კი ნულოვანი, ახლა ნულოვანი კერძო საკუთრებიდან ჩვენ უნდა ავიდეთ დაახლოებით 40%-მდე, ამ გარდამავალ პერიოდში კერძო საკუთრების დაშვების გარეშე ეკონომიკური ძვრების გამოწვევა შეუძლებელია. კერძო საკუთრებისკენ ნაბიჯის გადადგმამ თავისთავად უნდა გამოიწვიოს გარკვეულწილად ეკონომიკის აფეთქება, ამ პერიოდში დადგება საკითხები, რომლებიც ეხება სოცილურ დაცვას. ე. ი. ეკონომიკა თავისთავად სწრაფად მიდის წინ და რჩება ისეთი საკითხები, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის დროს სოციალურ დაცვას უნდა დაექვემდებაროს. რეალობას რომ გადავხედოთ, სოციალური დაცვა ყველაფერს ეხება, როგორც წარმოების, ასევე არასაწარმო სფეროს — კულტურას, განათლებას და ა. შ.

იბადება კითხვა, რატომ არ შედის სოციალური დაცვა ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ფუნქციებში? რეალურად, ხვალინდელი პროგნოზით ეს ორი სამინისტრო შეიძლება შეერთდეს და გახდეს ერთი სამინისტრო, ერთი ფუნქციით. დღესდღეობით მაინც ვფიქრობთ, რომ ორივე სამინისტროს თავისი ფუნქცია აქვს— ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ევალება სოცუზრუნველყოფის საკითხები, ხოლო სოციალური დაცვა კი ჩვენს სამინისტროს. თუ მოქალაქე დაიჩაგრა ან წარმოებაში რაღაც კონფლიქტი მოუვიდა, ჩვენმა სამინისტრომ უნდა დაიცვას იგი.

**— ბ-ნო თამაზ, რას გვეტყვით დემოგრაფიული პრობლემების შესახებ?**

— აქამდე არსებული დემოგრაფიული პოლიტიკა მანკიერი იყო. გააზრებულმა დემოგრაფიულმა ქმედებამ შეიძლება 10-15 წლის შემდეგ გამოიღოს შედეგი. დღეს ჩვენი მიზანია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ავიდეს დემოგრაფიული პრობლემები. ჩვენ გვინდა დახმარება გავუწიოთ მრავალშვილიანებს, ხელმოკლე ოჯახებს, აუცილებლად უნდა დააყენოს სამინისტრომ ახალგაზრდა ოჯახების ფორმირების, მათი ხელშეწყობის და დახმარების საკითხები.

როდესაც გვექნება უმუშევრობის კატეგორია და 40% კერძო საკუთრება, იქნება იმის საშიშროება, რომ კერძო მესაკუთრე შემოიყვანს იაფფასიან მუშახელს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან, ამიტომ საჭიროა მიგრაციის კანონი, რომელიც გარკვეულ ბარიერს შექმნის, რათა მკვიდრი მოსახლეობა არ დარჩეს დაუსაქმებელი.

ასეთია ზოგადად ჩვენი გეგმები, ჩვენი სამინისტრო ჯერ დაკომპლექტებული არ არის, შენობაც გამოსაცვლელია, წინ კი დიდი და შრომატევადი სამუშაო გველის.

ესაუბრა
**ᲛᲐᲘᲐ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

---

# „ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲨᲘ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ ᲐᲜᲗᲘᲐ“



**ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ** პრეფექტი, ბატონი **გურამ ისაკაძე**, თავის კაბინეტში დაგვხვდა. ჩვენს წინ იჯდა ახალგაზრდა, კეთილი, სანდომიანი კაცი. იგი ცოტა დაღლილი გვეჩვენა, მაგრამ როდესაც საუბარი დავიწყეთ, მივხვდით, რომ ბატონი პრეფექტი სავსეა ენერგიით, რწმენით, და რაც მთავარია, ხალხის სიყვარულით, მათთვის შვების მოტანის უდიდესი სურვილით. ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს, რა განწყობით შეუდგა საქმეს, რა დახვდა, რას აპირებს, ხომ არ ეშინია... „რისი უნდა მეშინოდეს, სიცოცხლე ხომ ნაჩუქარი გვაქვს, შეიძლება გვესროლონ, შეიძლება მოგვკლან, მთავარია ისეთი რამ არ შეგვეშალოს, რომ ხალხმა ზურგი შეგვაქციოს. ჩვენ ის ხალხი არა ვართ, განწმენდისა და განთავისუფლების გზაზე შევშინდეთ, მთავარია, რომ საკუთარი თავისა გვჯერა ვიცით, არ ჩავეფლობით კორუფციაში, ვიბრძოლებთ, ვიშრომებთ მიზნის მიღწევამდე“ — მიუხედავად იმისა, რომ ათასი მოუგვარებელი პრობლემა და ათასი წინააღმდეგობა დახვდა, მაინც ასეთი რწმენით მოვიდა ბატონი გურამი თავის მშობლიურ კუთხეში. როგორ უნდა დაიძლიოს ყოველივე, რა გზას დაადგებიან საგარეჯოელები, მოახერხებენ ააღორძინონ საქართველოს ეს ძირძველი, ერთდროს მდიდარი, ახლა კი 70-წლიანი განუკითხაობის შედეგად გაპარტახებული კუთხე? მაშ-ასე, ყოველივე ამაზე გვესაუბრება ბატონი პრეფექტი.

„ჩემი პრეფექტად დანიშვნა დაემთხვა „მხედრიონის“ საქმეს. დაიწყო იარაღის მასობრივი ამოღება, ჩვენ პირობა შევასრულეთ, ვისაც არავითარი ხულიგნობა არ ჩაუდენია, მისგან იარაღი ჩავიბარეთ და სახლში გავუშვით. აქაურმა პრესამ ცუდი როლი შეასრულა. იგი „მხედრიონის“ მებაირახტრე იყო, ალბათ, მკაცრი ლაპარაკი მომიწევს რედაქტორთან. მართალია, დაშინებულები იყვნენ, მაგრამ ტაიგაში ხომ არ ცხოვრობდნენ, რომ საკუთარი სიმართლე ვერ დაეცვათ.

მიუხედავად იმისა, რომ დიდძალი იარაღი ამოვიღეთ, მაინც არის კიდევ ამოსაღები, მილიცია უგერგილოდ მუშაობს, ოპერატიულობა აკლია, შერჩევითი მეთოდი უნდა გამოიყენონ. ამოღებული იარაღი შინაგან საქმეთა სამინისტროს აღრიცხვაზე გადადის, იქიდან ეროვნულ გვარდიას ბარდება.

რაც შეეხება პრეფექტურას, ჯერ არა გვაქვს სტრუქტურა. აღმასკომის თავმჯდომარის გარდა, ყველა ძველი თანამშრომელი მუშაობს. დაარღვიო ძველი და არ იცოდე როგორ ააგო ახალი, ძნელია. ეს ხალხი საკრებულოს არჩევნებამდე იმუშავებს, ძველ ცოდვებს არავის გავუხსენებთ, მაგრამ ახალს არ ვაპატიებთ. ჩვენ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რაიონში ძალა-უფლება ჯერჯერობით ძველი ფუნქციონერების ხელშია, ყოველ შეხვედრაზე ვუმტკიცებთ, რომ შეიცვალა ყველაფერი, მაგრამ გადამჭრელ ზომებს არ ვიღებთ, სანამ საკითხს არ შევისწავლით, ჩვენთან ჯერჯერობით ვერ მიიღო ეროვნულმა მოძრაობამ საჭირო ფორმა, იმდენად დიდი იყო ძველი ადმინისტრაციული დიქტატის ზეგავლენა.

ხვალ სამეურნეო თათბირი გვექნება. უნდა ჩავატაროთ ინვენტარიზაცია, საჭიროა ვიცოდეთ, რა გვაქვს, სოფლებში საკარმიდამო ნაკვეთების მოზომვას დავიწყებთ. მთავარია ხალხი ავამუშავოთ, საგაზაფხულო სამუშაოები ჩავატაროთ, საგარეჯოს ყურძნის მეურნეობას მივხედოთ. გარდამავალ ეტაპზე მთავარია ხალხი ამოქმედდეს და დარწმუნდეს, რომ თავისი შრომის შედეგი მას ეკუთვნის.

ჩემი მთავარი მიზანია, განვავითარო რაიონში ტრადიციული მეურნეობა. აი, მაგალითად, ხაშმის საფერავი უნიკალური ღვინოა, მისი შესასყიდი ფასი უნდა გავზარდოთ. თუ საბაზრო ეკონომიკა გვინდა, არ უნდა მივცეთ დირექტივა, ვინ რამდენი ძირი საფერავი გააშენოს და ვინ რამდენი მანავი... ავამუშაოთ ბუნებრივი ეკონომიკური მექანიზმი და ყველაფერი მოწესრიგდება ანდა, ჩვენთან კარგად ხარობს თუთა, ის ხალხიც შემორჩა, ვისაც უბით უზრდია აბრეშუმის ჭია, გვინდა ეს დარგიც ავაღორძინოთ. გარდამავალი ეტაპი იმით არის ძნელი, რომ ძველი არ დანგრეულა და ახალი არ შექმნილა, ამიტომ ბევრი ახერხებს ხელის მოთბობას. 9 აპრილის შემდეგ ბევრმა სახე იცვალა, ეროვნულ მოძრაობას მიეკედლა, ამას ხალხში მძიმე რეაქცია მოჰყვა. დღეისათვის საგარეჯოს რაიონში კომპარტია ოქტომბრიდან განახევრდა. დარჩენილია 200-300 კაცი. კომპარტიის რიგებიდან გამოსვლას არჩევნები უწლის ხელს, ისინი პარტიული სიით იღებენ მონაწილეობას არჩევნებში.

ახლა ვიწყებთ თითოეული უბნის შესწავლას, რა გვაქვს, რა გაგვაქვს, რა შემოგვაქვს. ჩვენ ბევრი გვყავს საქმიანი ადამიანი, ბიზნესის ნიჭით დაჯილდოებული, ვისაც შეუძლია საქმით ნახოს მოგება და არა ვინმეს გაღლეტით.

მეღვინეობის რესურსები დიდი გვაქვს. ღვინოს გავცვლით აუცილებელ პროდუქციაზე და არა, მაგალითად, ვიდეოაპარატურაზე, როგორც აქამდე იყო. ძალიან გვჭირდება შაბიამანი ვაზის შესაწამლად, რუსებმა 1 ტონა ყურძენში 1 ტონა შაბიამანი შემოგვთავაზეს. ეს ძარცვაა, მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს. შაბიამანი ძალიან გვჭირდება, მისი დამზადება კი ჩვენთან არ წარმოებს.

კახეთის სხვადასხვა რეგიონის პრეფექტები დავამყარებთ კონტაქტს, ხელს შევუწყობთ და დავეხმარებით ერთმანეთს.

წინ საგაზაფხულო ხვნა-თესვაა. საკოლმეურნეო ზვრები იჯარით გაიცემა, მალე დაიწყება თბილისიდან ხალხის მიგრაცია სოფლად. ამ პროცესს ჩვენ მომზადებული უნდა დავხვდეთ. სასოფლო სამეურნეო ტექნიკას ცენტრალიზებულად გადავცემთ მეიჯარეს, რომელიც მოიჯარეს, მოსავლის აღების შემდგომ, გამოუქვითავს ტექნიკის ფასს. საჭიროა მიწის დაბალი არენდა, მართალია მიწა გაფუჭებულია მძიმე ტრაქტორების გამო, მაგრამ უნდა ვეცადოთ ჯერჯერობით სამყოფი პროდუქტი მოვიწიოთ, შემდეგ კი უფრო ფართოდ გავშლით ფრთებს. მამაზეციერმა უხვად დაგვაბერტყა თავისი მადლიანი კალთა. გვაქვს მთა, ტყე, წყალი, მდინარე და, უდაბნოც კი, მაგრამ ხალხის ყოფითი კულტურა დაბალია, ეს გასაგებიცაა, 70 წელი ადამიანად არ ჩაუგდიათ. ამან თავისი კვალი დატოვა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართველი კაცის პოტენცია — შრომისმოყვარეობა და სილაღე კვლავ იჩენს თავს, ოღონდ ცხოვრების კალაპოტის შეცვლა და დროა საჭირო. ბუნებამ ქართველებს ბევრი სიკეთე მოგვამადლა, კომუნისტურმა რეჟიმმა კი ყველაფერი წაგვართვა გვეგონა, მაგრამ არც ისე ყოფილა საქმე.

მოკლედ, გასაკეთებელი ბევრზე ბევრია, სირთულეები კიდევ მეტი, მაგრამ მე ვხედავ, გამოჩნდა გვირაბი, გვირაბის ბოლოში სინათლე აენთო, ჩვენ მოგვეცა შანსი რაღაც ვთქვათ და დავტოვოთ, ჩვენმა შვილებმა თავისუფალ საქართველოში უნდა იცხოვრონ.

ესაუბრა
**ᲜᲐᲜᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასფაგური

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, რევ მართალის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა „ძე მისი ვაჩე", შემდეგ „ძე ვაჩესი ბაკურ", შემდეგ „ძე ბაკურისი მირდატ". ქართლის ამ მეფეების მოღვაწეობის შესახებ მატიანეს ცნობები არ შემოუნახავს.

„და შემდგომად მირდატისა, მეფობდა ძე მისი ასფაგურ" (ქრისტეს დაბადებიდან III საუკუნის მეორე ნახევარი). ასფაგურს აუშენებია ციხე-ქალაქი უჯარმა. სომხეთის მეფესთან ერთად ებრძოდა სპარსეთს, თავდაპირველად წარმატებით, „განამრავლეს შესულა სპარსეთად წარტყუენვად", მაგრამ შემდეგ სპარსელებმა იმძლავრეს, ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ, სომხეთი დაიპყრეს. ასფაგური ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა დამხმარე ლაშქრის ჩამოსაყვანად, მაგრამ ვეღარ დაბრუნდა, გარდაიცვალა. „ესე ასფაგურ იყო უკანასკნელ მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა", რადგან „ასფაგურს არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი". ქვეყანა მეფის გარეშე დარჩა. ქართლის ერისთავები მცხეთაში სპასპეტ მაექანთან შეიკრიბნენ, ითათბირეს და გადაწყვიტეს სპარსეთის მეფისთვის ეთხოვათ „ძე მისი მეფედ ჩუენდა, და ვევედრნეთ, რათა შერთოს ძესა მისსა ცოლად ასული მეფისა ჩუენისა ასფაგურისი... და ვითხოვოთ მისგან დამჰირვა სჯულსა ზედა მამათა ჩუენთასა, და ვითხოვოთ ჩუენ თანა არა აღრევა სპარსთა და წარჩინებულად პყრობა ჩუენი". თუ სპარსელები ამ პირობას არ შეასრულებდნენ, გადაწყვიტეს ბოლომდე ებრძოლათ, „მაშინ სიკუდილი უმჯობეს არს თავთა ჩუენთათუის... მონახვასა ესევითარისასა". სპარსეთის მეფე დაეთანხმა ერისთავების თხოვნას, „მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმა... მაშინ მოიყუანეს ასული ასფაგურ მეფისა სამშუილ და შერთო იგი სპარსთა მეფემან ძესა თჳსსა, რომელ ჰყვა მუნით შჳდისა წლისა, ნაშობი მხევალისა, რომელსა ერქუა სპარსულად მირან და ქართულად მირიან. ესე მირიან იგი არს, რომელმან ჟამსა სიბერისა მისისა იცნა ღმერთი დამბადებელი და შეიწყნარა სახარება მოციქულთა წმიდისა ნინოს მიერ, იქმნა აღმსარებელ წმიდისა სამებისა და თაყუანისმცემელ ჯუარისა პატიოსნისა".

აქვე აღვნიშნავთ, ცნობა მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ ისტორიკოსებს სარწმუნოდ არ მიაჩნიათ.

რევაზ ებრალიძის ნახატი

# ჯანსაღი ოპოზიცია საქმისთვის სასარგებლოა

ელემენტარული ჭეშმარიტებაა, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი გრძელი გზა განუწყვეტელი ბრძოლა რომ არის კეთილსა და ბოროტს შორის.

და მაინც, ჯერ კიდევ ყველას როდი აქვს კარგად გააზრებული თავისი არსით ეს ურთიერთგამომრიცხავი ორი საწყისი ერთ სხეულში, ერთ არსებაში, ერში, ქვეყანაში ერთად რომ არსებობენ.

ამიტომაც, ხშირად რომელიმე პიროვნებაზე იტყვიან ხოლმე, კეთილია ან ბოროტიაო. არ არის ზუსტი, რამეთუ რომელიმე მათგანში მეორე საწყისი მუდამ არსებობს. იგი მხოლოდ დათრგუნულია თავად ამ პიროვნების მიერ თავისთავთან განუწყვეტელი ჭიდილის ფასად.

აბსოლუტური კეთილი მხოლოდ უფალია, აბსოლუტური ბოროტი მხოლოდ ეშმა.

კეთილისა და ბოროტის ბრძოლა-ჭიდილში კეთილის საწყისი მაინც ჯაბნის ბოროტებას. ამის დასტურია თავად ის დიდი ცივილიზაცია, რაც კაცობრიობამ შექმნა დასაბამიდან დღემდე და რომელიც იმთავითვე ბოროტების დათრგუნვისაკენ არის მიმართული.

მაგრამ ბოროტი საწყისი ფარხმალს როდი ყრის. იგი დროდადრო მთელის სიძლიერით აიშვებს ხოლმე თავს და ზოგჯერ ეუფლება კიდეც პიროვნების, ერის, ქვეყნის გონებას.

სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ფაშიზმის აღზევება ისეთ ცივილიზებულ და გონიერ ქვეყანაში, როგორიც გერმანიაა, ანდა თუნდაც უფრო სატანური ბოლშევიზმის აღზევება რუსეთში, რომელიც სამოცდათორმეტი წლის მანძილზე უდიდეს უბედურებას თესავდა მთელს მსოფლიოში. ამის დასტურია აგრეთვე მათი ბელადების კანიბალური ქმედებანი.

საერთოდ, ამ ორი ძალის ჭიდილში ისტორიულად გამოიკვეთა ბრძოლის ორი მეთოდი. ერთი „სისხლი სისხლის წილ" და მეორე „არა კაც ჰკლა", მიმტევებლობა, კეთილის ქმნით ბოროტების დაძლევა — ქრისტიანული კოდექსი.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. თავად ბოროტი საწყისი, ბოროტი ძალაც და გენიაც გარეგნულად კეთილის სამოსელში ცდილობს გახვევას, კეთილის მსახურის საფარით ფიქრობს ბოროტების აღზევებას. კაცთმოყვარეობის ლოზუნგებს ამოფარებული ბოროტი საწყისი განუხრელად მოქმედებდა და მოქმედებს პრინციპით — „მიზანი ამართლებს საშუალებას". სწორედ ამ პრინციპით იბრძოდნენ და იბრძვიან დღესაც აქაც და საზღვარგარეთაც საქართველოს ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი ძალები.

რატომ გვიხდება ამ თითქმის ყველასათვის ცნობილ ჭეშმარიტებაზე მსჯელობა?

დღეს ჩვენში ხშირად გაიძახიან, პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე რომელიმე პრობლემის გადაწყვეტის წესად კონსენსუსი უნდა იყოსო. კონსენსუსი, როგორც ცნობილია, თანხმობას, ერთსულოვნებას ნიშნავს. ერთსულოვნება კი თანასწორობის, მოწინააღმდეგეთა ნების თავისუფლებისა და ურთიერთთანხმობის ნიადაგზე მიიღწევა. სწორედ ეს არის პრობლემების გადაწყვეტის ნამდვილი, რეალური საფუძველი.

ნორმალურ საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტისას მოწინააღმდეგის, ჯანსაღი ოპოზიციის აზრს რომ სათანადო ანგარიში ეწევა, ეს დღეისათვის ნათელია. უფრო მეტიც, ოპოზიციის აზრი სასარგებლოდ არის მიჩნეული და მისი გათვალისწინებით წყდება ხშირად მთელი რიგი საკითხები.

მაგრამ ყოველგვარი კომპრომისი უსათუოდ უნდა გამომდინარეობდეს ერის საერთო ინტერესებიდან, მხოლოდ ამის ნიადაგზეა შესაძლებელი დამთმობლობაც და მიმტევებლობაც.

საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" უზენაეს საბჭოს არჩევნებში ტრიუმფალური გამარჯვებისთანავე გამართულ მიტინგზე, მისმა სპიკერმა, ბატონმა ზ. გამსახურდიამ სწორედ აქეთკენ მოუწოდა მთელ ქართველ ხალხს, [illegible] ციური ძალას.

ქრისტიანული [illegible] მიმტევებლობა, [illegible] დევიზად მის ამ დიდებულ სიტყვას.

ნამდვილი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა ჩვენში ჯერ კიდევ ახლა იწყება — უნდა ვისწავლოთ და ყველას ვასწავლოთ დემოკრატიული ცხოვრების ანა-ბანა, რაც ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ არა აქვს გააზრებული და გათავისებული.

აბა სხვა რითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ახლად არჩეულ პარლამენტს ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმა მეორე დღესვე ულტიმატუმური ტონით მოთხოვა პრობლემების ისეთნაირად გადაწყვეტა, როგორც მათ სურდათ. ეს ხომ დიქტატია, რომელსაც დემოკრატიასთან არავითარი საერთო არა აქვს? ნუთუ ამ ძალებს არ ესმით, რომ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს" ხალხმა ხმა მისცა დამსახურებისა და იმ წინასაარჩევნო პროგრამის გამო, რის განხორციელებასაც დაპირდა გამარჯვების შემთხვევაში და არა ოპოზიციის ულტიმატუმური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად?

დამთმობლობა და მიმტევებლობა, ან თუნდაც კომპრომისი, იმას როდი ნიშნავს, რომ დავთმოთ, საკვანძო, გადამწყვეტ საკითხებში, ანდა დავუთმოთ [illegible]. ვინც სული ეშმაკს მიჰყიდა და ათასი სახის სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადის. აქ უპრიანია დაბეჯითებით ითქვას: ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კანონი თითქმის გაფეტიშებულია და მის წინაშე პასუხს აგებს ერთნაირად ყველა, იქნება იგი საზოგადოების რიგითი წევრი თუ პრეზიდენტი. ეს კარგად უნდა დავიხსომოთ და ჩვენი ცხოვრების ნორმად ვაქციოთ, თუ გვინდა ნამდვილ წარმატებას მივაღწიოთ სამშობლოს განთავისუფლების ეკლიან გზაზე.

რაც შეეხება ჯანსაღ ოპოზიციას, იმ ძალებს, რომლებსაც ნამდვილად აწუხებთ სამშობლოს ბედი და მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლაში საკუთარი განსხვავებული შეხედულებები აქვთ, მათთან პაექრობა და, საჭიროების მიხედვით, კომპრომისიც აუცილებელია. იგი საბოლოო ანგარიშით დიდად წაადგება ეროვნულ საქმეს.

გ. მეხიშვილი.

# ისევ დრომოჭმული ბიუროკრატიზმი

მას შემდეგ, რაც გაზეთმა „თავისუფალმა საქართველომ" ხელისმოწერა გამოაცხადა, განუწყვეტლივ გვირეკავენ მოქალაქეები და ჩივიან, რომ გაზეთს ვერ იწერენ, რადგან „სოიუზპეჩატის" ესა თუ ის განყოფილება გამოწერას არ აფორმებს. ამ უკანასკნელთა მხრიდან კი ეს იმით იხსნება, რომ არ მიუღიათ შესაბამისი ბრძანება „სოიუზპეჩატის" ხელმძღვანელებისგან... ეს ხდება თბილისში. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

ჯერ ერთი, სრულიად გაუგებარია გამოწერის გასაფორმებლად დამატებითი ბრძანების საჭიროება „სოიუზპეჩატის" ხელმძღვანელების მხრიდან, როდესაც გაზეთი ოფიციალურად რეგისტრირებულია და მიღებული აქვს ინდექსი. საქმის ამგვარი წარმოება უნდა შეფასდეს, როგორც დრომოჭმული, დამყაყებული ბიუროკრატიზმი.

და საერთოდ, შექმნილ ეკონომიკურ ვითარებაში, როდესაც გარკვეულწილად ისახება კონკურენცია, შეუძლებელი იქნება პრესის ნორმალური ფუნქციონირება, თუ პრესის გავრცელების სამსახური, ე. წ. „სოიუზპეჩატი", ძველი სტილით იმუშავებს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ოდიოზური სახელწოდებიდან დაწყებული, სტრუქტურული რგოლებით დამთავრებული — ყველაფერი შესაცვლელია.


## გამოიწერეთ ყოველკვირეული გაზეთი

## „თავისუფალი საქართველო"

ფასი: 1 თვით — 2 მან. 15 კაპ.
3 თვით — 6 მან. 45 კაპ.
6 თვით — 12 მან. 90 კაპ.
12 თვით — 25 მან. 80 კაპ.



რედაქტორი მარიკა აბაიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ჭილაძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-81-57

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა №29

ინდექსი 66421

ფასი 50 კაპ.